პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი 5 ოქტომბერი 1978 წ. № 234 (17278) ფასი 2 კაპ.

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

512.000 ტონა ყურძენისათვის!

დიდი რითვალი

„სამტრესტის“ ცნობებიდან ყურძნის მიღებისათვის (ტონაობით)

რაიონები	1978 წლის გეგმა	3 ოქტომბრის მდგომარეობა	სულ მოსავალი
გურჯაანის	88000	5258	92659
თელავის	61200	4043	40790
ყვარლის	38000	2336	28602
სიღნაღის	34000	2299	28921
ახმეტის	30400	2194	15107
წითელწყაროს	25100	1016	20379
საგარეჯოს	24100	1377	8698
მარნეულის	19000	1073	12711
გოლნისის	11480	661	8951
გარდაბნის	10500	204	2829
ლაგოდეხის	8500	496	4111

☐ 3 ოქტომბერს მოიკრიფა 21.625 ტონა ყურძენი.

☐ სულ რესპუბლიკაში მოკრეფილია 265.152 ტონა ყურძენი.

საკარმიდამო ნაკვეთებიდან

სიღნაღი. გაქირელმა თამაზ ნანობაშვილმა თავის საკარმიდამო ნაკვეთიდან სახელმწიფოს მიჰყიდა 9.600 კილოგრამი ყურძენი, მისმა თანამოფლელმა ჯემალ ნანობაშვილმა — 10.200, ტიბაანელმა ბორის შიუკაშვილმა — 6.800 კილოგრამი.

წითელწყარო. არბილოსკალოელმა ლევონოსო ჭინჭარაულმა სახელმწიფოს მიჰყიდა 3.480 კილოგრამი ყურძენი, საბათლოელმა ალექსანდრე ალაკანიანმა — 3.030 კილოგრამი.

ბოსტნეული მაიაკოვსკიდან

მაიაკოვსკის რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის მაყიდვის წლიური გეგმა. 1 ოქტომბრისათვის 475 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 486 ტონა ბოსტნეული.

სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის მიყიდვა გრძელდება. ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობა საქართველოს კომპარტიის მაიაკოვსკის რაიკომის მეორე მდივანმა ვ. აბულაძემ.

კრიზისი მუშაობაში გვეხმარება

ადამიანი, რომელიც თავისი ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონია, სამართლიანად ამაყობს განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების დიადი მიღწევებით. ამავე დროს უაღრესად დიდად არის დაინტერესებული, რათა ყველგან, ყველა უბანზე საქმე რაც შეიძლება კარგად მიდიოდეს. მისთვის დამახასიათებელია მუდმივი შემოქმედებითი დაუკმაყოფილებლობა, მისწრაფება „მრავლოს მიღწეული, აღმოფხვრას ნაკლოვანებანი. გადასაწყვეტი ამოცანების მასშტაბისა და ხერხულის ზრდის კვალობაზე, აღინიშნა სკკპ XXV კონგრესზე, კრიტიკული მიდგომა ყველა საქმისადმი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

ოქტიური ზრუნვა საერთო ინტერესებისათვის, მაღალი მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და სხვებისადმი ჩვენს მუშაობაში წარმატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საწინდარია.

ქალაქ ბაქოსათვის ლენინის ორდენის გადაცემის დროს გამართულ ზეიმობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „საბჭოთა ადამიანები ვერ ურიგდებიან ისეთ მოვლენებს, რომლებიც ხელს გვიშლის წინსვლაში. ვერ ურიგდებიან ხალხისა და სახელმწიფოს ვერავითარ მოტყუებას. ისინი მწვავედ რეაგირებენ ამგვარ ფაქტებზე, და ეს კარგია. მშრომელთა კრიტიკულ სიგნალებს უაღრესად სერიოზულ მნიშვნელობას უნდა ვანიჭებდეთ“.

ჩვენ ფართო შესაძლებლობანი გვაქვს, რათა მოქალაქენი გამოხატავდნენ თავიანთ აზრს სახელმწიფო, საზოგადოებრივი, სამეურნეო ორგანოების, შრომითი კოლექტივების მუშაობის სხვადასხვა საკითხზე. გავიხსენოთ: ეს ორმოც მილიონზე მეტმა კაცმა, ესე იგი ჩვენ ქვეყნის მოზრდილი მოსახლეობის ოთხ მეხუთედზე მეტმა, მიიღო მონაწილეობა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვაში. მათი წინადადებანი და შენიშვნები არა მარტო გულდასმით იყო გათვალისწინებული ჩვენი სახელმწიფოს ძირითადი კანონის საბოლოო ტექსტის შემუშავების დროს, არამედ მათ უკარნახეს კიდეც ყოველდღიური შრომის კონკრეტულ უბნებზე მდგომარეობის გაუმჯობესების ბევრი ღონისძიება. პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ კრებებზე, პარტიული კომიტეტების პლენუმებსა და ხალხმა დეპუტატთა საბჭოების სესიებზე გაისმის კრიტიკა, რომელიც ნაკარნახევია ზრუნვით სათანადო წესრიგი დამყარდეს იქ, სადაც იგი არღვევა. მას შეიცავს წერილებიც, რომლებსაც ხელმძღვანელი ორგანოები და გაზეთების რედაქციები იღებენ. ყოველივე ეს ეფექტიან საპასუხო ღონისძიებებს მოითხოვს.

პარტია მუდამ დიდ ყურადღებას უთმობს კრიტიკის გაშლის, მისი შემდეგობის საკითხს. იგი ცდილობს შექმნას ყველაზე ხელშემწყობი პირობები, რათა ამა თუ იმ ორგანიზაციის, ამა თუ იმ მუშაკის საქმიანობის ყველა მხარე ობიექტურ შეფასებას იღებდეს, ხოლო ნაკლოვანებანი ანალიზდებოდეს მათი აღმოფხვრის მიზნით. უნდა აღინიშნოს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „ტამბოვის საოლქო პარტიულ ორგანიზაციაში კრიტიკისა და თვითკრიტიკის მდგომარეობის შესახებ“. ამ დოკუმენტის საფუძველზე ბევრი რამ გაკეთდა წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, საზოგადოებრივი ურთიერთობის ჰრსულყოფისათვის ბრძოლაში კრიტიკის როლის გასაძლიერებლად. მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ უნდა გავაკეთოთ, რათა უფრო სრულად გამოვიყენოთ კრიტიკისა და თვითკრიტიკის მეთოდი კომუნისტური მშენებლობის ინტერესებისათვის.

უწინარეს ყოვლისა რა არის ამისათვის საჭირო? უფრო აქტიურად ვუჭერდეთ მხარს თითოეულ სამართლიან კრიტიკულ შენიშვნას, თითოეულ რაციონალურ წინადადებას, საქმიან რეკომენდაციებს ვიხდენდეთ მათზე. შინაგანი რეზერვები ყველგან არის. ისინი დაკავშირებულია

ПРАВДА 4 ოქტომბერი.

წარმოების სწორ ორგანიზაციასთან და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასთან, შრომის მოწესრიგებასთან. აღმოფხვრილი არ არის ზოგიერთი მუშაკის მისწრაფება ობიექტური მიზეზებით ახსნას საკუთარი შეცდომები, რომლებსაც ხაგეგმო დავალებათა შეუსრულებლობა მოსდევს. ვხედავთ უყაირათობის, წამალებების, ბერძოამებობისა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების სხვა შემთხვევებს, რომლებიც სერიოზულ ზიანს აყენებენ საქმეს, ადამიანთა აღზრდას. მოქალაქენი, რომლებიც ხშირ ამაღლებენ ამგვარი აღმაშფოთებელი ფაქტების წინააღმდეგ, მტკიცედ უნდა იყვნენ დარწმუნებული, რომ მდგომარეობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებლად იქნება გამოსწორებული, ხოლო დამნაშავეებს დამსახურებისამებრ მიეზღვებათ.

მაგრამ ყველგან ასე როდი ხდება. ჯერ კიდევ საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა ცდები მიჩქმალონ ნაკლოვანებანი, თავი აარიდონ სამართლიანს კრიტიკას, მიაჩუმათონ იგი. ამის მიზეზი სხვადასხვაა. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი მიზეზი ის არის, რომ კუთხური, უწყებრივი ხასიათის მოსაზრებებით შექმნილ ისეთი შთაბეჭდილება თითქოს ყველაფერი რიგზეა. ანდა ეს არის ზრუნვა მოჩვენებითი ავტორიტეტისათვის. სამინისტროებისა და უწყებების, რესპუბლიკებისა და ოლქების ხელმძღვანელი ორგანოების ზოგიერთი მუშაკი საჭიროდ არ თვლის უპასუხოს კრიტიკას, მათ შორის პრესაში გამოქმეული კრიტიკასაც, ანდა ფორმალურად უპასუხებს. ზოგჯერ ზეგავლენასაც ახდენენ იმათზე, ვინც აკრიტიკებს. პარტიისა და სახელმწიფოს ინტერესებისათვის ამაზე მაგნე არა არის რა!

ჩვენს კონსტიტუციაში პირდაპირ არის ნათქვამი: „კრიტიკისათვის დევნა აკრძალულია. კრიტიკისათვის მდევნელი პირნი პასუხისგებაში მიეცემიან“. მაშასადამე, ეს ბოროტებაა — არა მარტო კომუნისტური მორალის ნორმების, არამედ სსრ კავშირის ძირითადი კანონის დარღვევაა. ეგი დაუსჯელი ვერ დარჩება!

პარტიული კომიტეტების მოვალეობაა იყვნენ კონსტიტუციის ამ დებულების მთელ ჩვენს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში განუხრელად დაცვის სადარაჯოზე. გადაჭრით უნდა აღვკვეთოთ კრიტიკული გამოსვლისათვის ანგარიშის გასწორების ყოველი ცდა. და, რა თქმა უნდა, ასეთი რამ ყოველად შეუწყნარებელია თვით პარტიულ ორგანიზაციათა პრაქტიკაში. კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ განვითარება ხომ ლენინური პარტიის ცხოვრების ურყევი საწესდებო კანონია, და მისი დარღვევის უფლება არავის არა აქვს.

ამას წინათ „პრავდაში“ გამოქვეყნდა კიევის ოლქის ტრიპოლსაის ავტოკოლონიდან მოსული წერილი. საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებაზე კომუნისტმა კრიტიკული შენიშვნები გამოთქვა თავისი სატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელობის მიმართ. დირექტორმა ლ. ოლოვკომ უხეში ფორმით შეაწყვეტინა ამხანაგს, დაემუქრა, შემდეგ კი დაიწყო მისი ნამდვილი დევნა კრიტიკისათვის. ხელმძღვანელის ასეთმა საქციელმა პარტორგანიზაციის წევრთა სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. უკრაინის კომპარტიის კიევის საოლქო კომიტეტის ბიუროს გაზეთის გამოსვლის შემდეგ კრიტიკის ჩამბშობი პარტიიდან გარიცხა.

მკაცრი, უკომპრომისო მიდგომა ამგვარი შემთხვევების შეფასებისადმი ხელს შეუწყობს, რომ თითოეულ პარტიულ ორგანიზაციაში დამკვიდრდეს მაღალი პრინციპულობისა და ურთიერთმომთხოვნელობის ვითარება. ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ახლა, საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში, რომელიც ბევრად განსაზღვრავს მომავალი პერიოდისათვის მუშაობის მიმართულებასა და შინაარსს.

ავითარებენ რა მასების ინიციატივას, მხარს უჭერენ საქმიან, კონსტრუქციულ კრიტიკას, პარტიული ორგანიზაციები უზრუნველყოფენ მიმდინარე წლისა და მთლიანად ხუთწლედის გეგმების წარმატებით განხორციელებას.

მიიღე სამშობლოვ, ეს საჩუქრები!



მშენებელთა სადაგი დღეები

იზრდება ენგურის ჰიდროელექტროსადგურის უნიკალური თაღოვანი კაშხალი. მეორმილიონე კუბური მეტრი ბეტონის ჩასხმის შემდეგ მისმა სიმაღლემ 150 მეტრს მიაღწია. ენგურჰესის მშენებლებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი პირნათლად შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებანი და ვადამდე, ერთი თვით ადრე გადასცენ საექსპლოატაციოდ 780 ათასი კილოვატი საერთო სიმძლავრის სამი ჰიდროაგრეგატი.

ახლა მშენებლობაზე დაძაბულად შრომობენ, ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების პირველი წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის. ბევრმა ჰიდროშენებელმა გადაწყვიტა სამი თვის დავალება 7 ოქტომბრისათვის შეასრულოს.

სურათზე: უბნის მარკშაიდერი რევაზ ცხაკაია.

ვ. მორგუნოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მეცხოველეთა ნობათი

გეგეჭკორის რაიონის მშრომელებმა სსრ კავშირის კონსტიტუციის წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი გალდებულება გადაჭარბებით შეასრულეს. 998 ტონის ნაცვლად 9 თვეში სახელმწიფოს მიჰყიდეს 1.005 ტონა ხორცი, 250 ათასი ცალის ნაცვლად 603 ათასი ცალი კვერცხი, გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით ხორცი მეტია 108 ტონით, კვერცხი — 320 ათასი ცალით. 500 ტონის ნაცვლად საკავშირო ფონდში გაგზავნა 840 ტონა თესლოვანი ხილი.

სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მაყიდვა გრძელდება. ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობა საქართველოს კომპარტიის გეგეჭკორის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. მოწერელიამ.

ოთხი თვით ადრე

რუსთავი. (საკ. კორ.). დიდი შრომითი მიღწევებით ხვდებიან სსრ კავშირის კონსტიტუციის წლისთავს რუსთაველი ქიმიკოსები. ქიმიური ქარხნის კოლექტივმა სექტემბერში ვალდებულებით ნაკისრი 60 ათასი მანეთის ნაცვლად ორი ათასი მანეთის ზოგგმითი პროდუქცია გამოუშვა. ამონიუმის სულფატის წარმოების მესამე ცვლამ, რომელსაც ლალი ლომთათაძე ხელძღვანელობს, პირველი ოქტომბრისათვის გაანაღდა მეათე ხუთწლედის სამი წლის დავალება. ცვლას გადაწყვეტილი აქვს წლის დამლეგამდე დამატებით 6.700 ტონა ამონიუმის სულფატი გამოუშვას.

კონსტიტუციის დღისათვის ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში ასევე გამოიჩინა თავი. სარმონტო-შემკეთებელმა საამქრომ (უფროსი ვ. აკიმენკო). წლის დამდეგს შემკეთებლებმა პირობა დადეს, რომ 7 ოქტომბრისათვის შეასრულებდნენ წლიური გეგმით გათვალისწინებულ ექვსი მილიონი მანეთის სამუშაოს მათ სიტყვა პირნათლად — პირველი სექტემბრისათვის გაანაღდეს.

დიდი წარმატებები მოიპოვეს საამქროს საელექტროლაცო და საკომპრესორო უბნების ს. ვარდანიძისა და ნ. სისვაძის ბრიგადებმა. თავი ისახელეს მოლარამა ჯ. ოტიაშვილმა, შემდლოებლმა ვ. პოხომორიოვმა, ხარატმა ფ. ბოკორიშვილმა, რომლებიც ყოველთვიურ გეგმებს ორმაგად და უფრო მეტად ახლდებენ.

მომხმარებელი რომ კმაყოფილი იყოს

სოხუმელ მეფეხსაცმელეებში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ღრმაშინაარსიანმა სიტყვამ, რომელიც ბაქოში გამართულ საზეიმო სხდომაზე წარმოთქვა.

ეს სიტყვა კიდევ ერთი გამოვლინებაა იმისა, თუ როგორ ზრუნავენ ჩვენი პარტია და საბჭოთა თავრობა ხალხის კეთილდღეობისათვის.

ლ. ი. ბრეჟნევმა თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს. ეს პრობლემა ჩვენც გვაფიქრებს და ყოველდღიური მუშაობის დეკიზად გვაქვს. კომბინატის კოლექტივმა წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესა გამოშვებული ნაწარმის ხარისხი, მკვეთრად შემცირდა სავაჭრო ორგანიზაციების პრეტენზიები ჩვენი ნახელავის მიმართ. ჩვენთან მკაცრი კონტროლია დაწესებული პროდუქციის ხარისხის დაცვისათვის. შეურიგებელ ლ. ი. ბრძოლა გამოვუცხადეთ წუნმეკეთებლებს. პირველი დადებითი შედეგებიც გვაქვს. წლეულს ჩვენი მარკის ქალისა და მამაკაცის 8 სახეობის ფეხსაცმელს მიეკუთვნა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი. აქედან 4 სახეობა სერიულად მზადდება, ხოლო დანარჩენების წარმოებას შეუდგებით მეათე კვარტალის დასაწყისში.

მიმდინარე წლის 8 თვეში 268 ათასი მანეთის ხარისხისნიშნიანი პროდუქცია დავამზადეთ გეგმით გათვალისწინებული 6 ათასი მანეთის ნაცვლად. განზრახულია გვაქვს წლის ბოლომდე გავაორკეცოთ ხარისხისნიშნიანი პროდუქციის გამოშვება. ეს ჩვენი პრაქტიკული პასუხი იქნება ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოწოდებაზე.

გალინა ძიაფშიპა,
სოხუმის ს. ორჯონიკიძის სახელობის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის მოდელების საამქროს დამამზადებელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ზეგზეგმითი კმროქსიდი

ბაათურა. (საკ. კორ.). რუსთაველ მეტალურგთა თაოსნობას — „არც ერთი ჩამორჩენილი და დისციპლინის დამრღვევი ჩვენ გვერდით!“ პრაქტიკულად უპასუხა კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა. წელს სამთო საწარმოში მინიმუმამდე შემცირდა შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები, მწარმოებლურად იყენებენ მექანიზმებს, ამასთან გაზარდეს შრომის ნაყოფიერება.

საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის წლისთავის აღსანიშნავ ვახტზე, ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა შესრულებაში პირველობას ერთმანეთს უცილებიან ის საწარმოთა უბნების კოლექტივები, რომელთა ხელმძღვანელები არიან ე. ბოყოველი, ი. დოხნაძე და შ. კაპანაძე.

დავალება — ვადამდე

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ქალაქის ერთ-ერთმა დიდმა სამრეწველო საწარმომ — ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატმა ხუთწლედის მესამე დამკვრელური წლის იანვარ-აგვისტოს პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის სახელმწიფო გეგმა-დავალება გადაჭარბებით შეასრულა. ქართველი მექაღალდეები, დადგნენ რა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე, იბრძვიან წლიური გეგმა-დავალების ერთი თვით ადრე განაღდებისათვის.

წარმატებებს აღწევს მუყაოს წარმოების საამქრო, რომელმაც გასული რვა თვის დავალება 104 პროცენტით გაანაღდა, რაც შარშანდელი ამავე პერიოდის მაჩვენებელს სჭარბობს. სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდა გ. კეკურაძის კომკავშირულ-ახალგაზრ ე ულ ი ცვლა.

მუყაოს წარმოების საამქროს კოლექტივმა (უფროსი — გ. შერვაშიძე) გადაწყვიტა რეზერვების მაქსიმალური ამოქმედებით ახალი კონსტიტუციის მიღების პირველი წლისთავისათვის — 7 ოქტომბრისათვის გაანაღდოს მეათე ხუთწლედის 3 წლის გეგმა.

პლაკატი — კონსტიტუციას

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ დაბეჭდა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მიღების პირველი წლისთავისადმი მიძღვნილი პლაკატი — „ხუთწლედის სამი წლის დავალებანი — 7 ოქტომბრისათვის!“ პლაკატი ლამაზად არის გაფორმებული და მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა გამოცემული. მხატვარია მ. კუბაშვილი, რედაქტორი — მ. ვარდოსანიძე, მხატვრული რედაქტორი — მ. ჭანიშვილი.

„სალუტ-6“ — „სოიუზ-31“:

ფრენა პროგრამის მიზნებით

ფრენის მართვის ცენტრი, 4 ოქტომბერი. (საკადრი). ამ თვრამეტ დღეს მუშაობენ დედამიწისირგვლივ ორბიტაზე ვლადიმერ კოვალიონოკი და ალექსანდრე ივანჩენკოვი.

დღეს „სალუტ-6“-„სოიუზ-31“ ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსში დაგეგმილია მუშაობა ტექნიკურ დოკუმენტაციაზე, სადგურში არსებული მოწყობილობის ინვენტარიზაცია, ფიზიკური ვარჯიში.

დღის პირველ ნახევარში ჩვენი ქვეყნის სამხრეთ რაიონების თავზე კომპლექსის ფრენის დროს ეკიპაჟმა შეასრულა ვიზუალური დაკვირვებების ხერხი და დედამიწის ზედაპირის ფოტოგრაფირება გარემოს შესწავლის პროგრამის მიხედვით. სატელევიზიო სეანსში კოსმონავტებმა ილაპარაკეს ამ კვლევის შესახებ.

დამთავრდა მორიგი ტექნოლოგიური ექსპერიმენტი „კრისტალის“ დანადგარზე. კოსმოსური მასალათმცოდნეობის ვრცელი პროგრამის „ფარგლებში“ მიღებულია ნახევარგამტარული ნივთიერების კიდევ ერთი მონოკრისტალი — ტელეროვანი ტყვია.

გუშინ კოსმონავტებმა შეასრულეს კომპლექსური სამედიცინო გამოკვლევა. ეკიპაჟის მოხსენებებთა და სამედიცინო კვლევის შედეგებით ვლადიმერ კოვალიონოკი და ალექსანდრე ივანჩენკოვი ჯანმრთელად არიან და თავს კარგად გრძნობენ. მეთაურიხ მაჯისცემის სიხშირე ნამოცდათორმეტია, ხოლო ბორტინჟინერისა — ნამოცდაათი წუთში, არტერიული წნევა შესაბამისად უდრის 120X75 და 125X70 მილიმეტრი ვერცხლისწყლის სვეტს.

ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის ფრენა გრძელდება.

მიფრინავს რეკორდი

1978 წლის 4 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში გაშვებულია დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები „კოსმოს-1034“, „კოსმოს-1035“, „კოსმოს-1036“, „კოსმოს-1037“, „კოსმოს-1038“, „კოსმოს-1039“, „კოსმოს-1040“ და „კოსმოს-1041“. რვავე თანამგზავრი ორბიტაზე გაიყვანა ერთმა მატარებელმა რაკეტამ.

თანამგზავრებზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო - გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკადრი).

მიფრინავს „პროგრეს-4“

„სალუტ-6“—„სოიუზ-31“ ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის ხანგრძლივი ფუნქციონირების უზრუნველყოფის პროგრამის შესაბამისად, 1978 წლის 4 ოქტომბერს მოსკოვის დროით 2 საათსა და 9 წუთზე საბჭოთა კავშირში გაშვებულია ავტომატური სატვირთო-სატრანსპორტო ხომალდი „პროგრეს-4“.

„პროგრეს-4“ ხომალდის გაშვების მიზანია:

„სალუტ-6“ სადგურში ძრავის დანადგარის სათბობისა და სხვადასხვა ტვირთის მიტანა;

— ავტომატური სატვირთო ხომალდის სამართო სისტემებისა და მოწყობილობის კონსტრუქციის ელემენტების შემდგომი დახვეწა.

„პროგრეს-4“ სატრანსპორტო ხომალდი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 266 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 191 კილომეტრი;

— გარშემოვლის პერიოდი — 88,8 წუთი;

— ორბიტის დახრილობა — 51,7 გრადუსი.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, „პროგრეს-4“ ხომალდის ყველა სისტემა ნორმალურად მუშაობს.

შეიქმნა გიგანტი კვეთი

კრასნოიარსკში მზარის სოფელ შარიპოვოსთან დაიწყო ქვანახშირის კვეთის „ბერეზოვსკაია-1“-ის მშენებლობა, რომლის სიმძლავრე წელიწადში 55 მილიონი ტონა ქვანახშირი იქნება. ახალი საწარმო აღიჭურვება მაღალმწარმოებლური, როტორული ექსკავატორებით, სპეციალური თვითმავალი ტრანსპორტიორებითა და ქვანახშირის მისაწოდებელი კონვეიერების სისტემებით. თითოოეული მუშტის გამომუშავება თვეში აქ შეადგენს 2500 ტონა ქვანახშირს.

ციმბირის 6,4 მილიონი კილოვატი სიმძლავრის ეს უდიდესი თბოსადგური და ახალი კვეთი კანსკ-აჩინის თბოენერგეტიკული კომპლექსის მნიშვნელოვანი ობიექტებია, რომლის აგების სამუშაოები გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებებით“.

ა. შჩიგლენკო,
საკადრის კორ.

შარიპოვო,
კრასნოიარსკის მხარე

ტუვის სარწყავი გლელოები

გაკვეთილებული, გვალვიანი ზაფხულით გადამწყვარი მდელოები სოფელ ბაი-ბასკის მახლობლად სარწყავის სისტემის ღარებმა გადაურეს. 1200 ჰექტარ მიწებს მორწყავს მთის მდინარე დურგენი. მელიორატორების ა. დუბნოკოისა და ვ. ბეკასოვის, მემონტაჟეების გ. ელიზაროვის მოწინავე ბრიგადებმა („ტუვაწყალმშენის“ ტრესტი) გადაწყვიტეს ვადამდე გადასცენ საექსპლოატაციოდ ყველა ობიექტი.

მეცხოველეობის დიდ კომპლექსებს, რომლებიც ტუვაში იქმნება, დიდძალი საკვები სჭირდება, მას მიიღებენ სარწყავი მდელოებიდან.

რ. კოზმინი,
საკადრის კორ.

ყიზლი

აკადემიკოსი ნ. ინოზემცევი ამოთმრგევლებთან

აბაშა, (საკ. კორ.). 4 ოქტომბერს აბაშის რაიონს ეწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი სამტრედიის № 689 საარჩევნო ოლქისაგან, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ნიკოლოზ ინოზემცევი.

ნ. ინოზემცევმა დიდი ინტერესით დაათვალიერა აბაშის რაიონი, შეხვდა და ესაუბრა სოფლის მშრომელებს, მეცხოველეობის მუშაკებს, დაინტერესდა ამ სიახლეებით, რომლებიც გამეფდა ოდესღაც ინერგება რაიონში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ამაღლებისა და მეცხოველეობის განვითარებისათვის.

მან ქმაყოფილებით აღნიშნა, რომ რაიონის მშრომელები წარმატებით იბრძვიან სამეგრელოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

რაიონის ამომრჩევლებმა, რომელთა შორის იყვნენ სამტრედიის, წყალტუბოს, გეგეჭკორის და ვანის რაიონების წარმომადგენლები, თავიანთ სახელოვან დეპუტატს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს.

შეხვედრა შესანიშნავი სიტყვით გახსნა პარტიის აბაშის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. მგელაძემ, სიტყვები წარმოთქვეს აბაშის მეცხოველეობის კომბინატის დირექტორმა ო. ცომაიამ, წყალტუბოს სანატორიუმ „მეტალურგის“ ექიმმა თ. ბიბილეიშვილმა, სოფელ ტყვარის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგემ, სოციალისტური შრომის გმირმა ე. არველაძემ და სხვებმა.

დასასრულ გამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი აკადემიკოსი ნ. ინოზემცევი, რომელმაც ამომრჩევლებს მადლობა გადაუხადა გულთბილი შეხვედრისათვის.

შეხვედრაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ს. ხაბეიშვილი.

დ. გედენიძე.



ალმაკვალი სვანეთი



გზა და სინათლე

ქალენდარული ზაფხულის უკანასკნელ დღეს ცეკავშირის ავტომეურნეობათა 150 ხატვირთო ავტომანქანამ, რომლებიც ერთმანეთს რამდენიმე საათის ინტერვალით მიჰყვებოდნენ, მესტიის რაიონის 116-ვე სოფელში ზამთრის სურსათ-სანოვაგის მარაგი მიიტანა. ერთ ბეწო თავრალშიც კი, სადაც სულ ოთხი სახლი დგას და ოცდაოდ მოსახლეა, მიიტანეს საზამთრო სურსათი.

ზამთარი ზემო სვანეთში რვა თვეს გრძელდება...

ამავე დღეს მესტიაში ერთმანეთს შეხვდა რამდენიმე კაცი: კიეველი გაზომცდელი მფრინავი, პარიზელი ცოლქმარი — ისტორიკოსები, მთის ავდარში მოყოლილთა მაშველი სამსახურის ინსტრუქტორი და მოსკოველი ფიზიკოსები. თბილისელი არქიტექტორები... შემთხვევითი იყო მათი შეხვედრა, მაგრამ შემთხვევითი არ ყოფილა საქმეს, რომელმაც მათ მესტიაში მოუხმო. საქმეს. ჯერ კიდევ გუშინ მოულოდნელი რომ იყო და დღეს კანონზომიერი გახდა.

მესტიაში ყველანი ერთმა გზამ მიგვიყვანა. იგი ხახელმწიფოს 26 მილიონი მანეთი დაუჯდა. ეს გზა ენგურის ხეობის ბიტალო კლდეებთან და ზოგიერთი უწყების გაჯიუტებულ ხელმძღვანელებთან ბრძოლით გაბედავდათ. კონსერვატიზმს, ზურგს ბრალებდა სამშენი ანგარიში: „ძალიან ძვირია, ამ თუოოთ ერთი კი არა. რამდენიმე გზის აშენება შეიძლებაო“. და ეს მაგისტრალი, ჭვარს მესტიასთან რომ აერთიბს, ოორს კიდეც რამდენიმე გზად: 1974 წლის ოქტომბრიდან ამ გზით გაცილებით მეტი ტვირთია გადაზიდული. ვიდრე წინა ოცდაათი წლის მანძილზე. ღღეს ამ გზას ოორმეტის ნაცვლად ხამ ხაათნახევარს ონდები. გასამკიცდა. გათხკიცდა ფამთა სვლა, და ამ დაჩქარებამ წარმოშვა ის ცვლილებები, რომლებსაც ერთბაშად ვერც სწრფება ყონიბ.

ზემო სვანეთის არქიტექტორულ ხაზის შუა საუკუნეებიდან ჩვენს საუკუნემდე თავთავისი ციხე-კოშკები გაწსაზღვრავდნენ. გარეგნულად სასამართო „მისტიი“ ცოტაოდენად თუ განსხვავდებოოა სვანური სახლისაგან. განსხვავება მხოლოდ ის გახლდათ, რომ იგი ციოვად ხოოებოოა სტოშარს, ძუნწად უნილოდებია ყორადღებას და სიკეთეს. 1957 წლის ჩვენ. სტუდენტების ჯგოოს აქ ხაუზეიდ პურიც კი არ გვიოერსის: არ მოუტანიათო, გვითხრა მოღუშულმა მებოფიტამ...

მას შემდეგ მისტიის არქიტექტურული სტილი არ შეცვლილა. თუმცა ოთხ წოეიოწყდში აქ გაცილებით მეტი რამ აშენდა. ციდრი იგეიი წინა ოცდაათი წლის მანძილზე. კინოთეატრი და სკოლა. საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი „ლოათი“ და ავტოპროფილაქტორიუმი. სასტუმრო „თეთნოოლი“ და რესტორანი „ოილე“, რაიმრეკოომბინატის კორპუსები და ახალი სავაჭოვრებელი სახლები. ეარეგნულად მესტიის ნარძალ ციხე-კოშკებს არ ეკიბრებიან. ადგილობრივი სამშენებლო ტრადიციების ხულისკვითებით რიოის ქვითა და ფიქლით ნაგები ახალი შენობები. არქიტექტორთა ტაქტისა და გემოვნების წყალობით. ნაცნობ ხურათს არ ირღვევენ. ოკანობი და შეუჩვეველი შიგრძნება მაშინ ვიოთოოება. როცა მათ ზღურბლს გადაბიჯებ. სასტუმრო „მესტიის“ ადმინისტრატორს პლასტიკით მუხისნაირად გაწყობილ დახლზე უდეახ ნაცნობი ფირფიტა: „ადგილები არ არის“, მაგრამ შუახნის მანდილოსანი ახალ სასტუმრო „თეთნულოში“ რეკავს და გვეუბნება: „თქვენ აქ მოგელითხენ. აქ მართლაც გვალოდნენ, მოგვცის კომფორტული ნომრის გასაღები. შემოგავლებს, ბუფეტში მიბრძანდითო, ხადაც ორი სანდომიანი ქალიშვილი ფინურ ელექტროქორას დასტრიალებდა და ვახშამს უმზადებდა გვიან მოხულ ხტუტრის...

მესტიაში არქიტექტურული ხტილი კი არ შეცვლილა — შეიცვალა ცხოვრების ხტილი, თვით მაერი, მიხდამი დამოკიდებულება.

ცენტრში, ავტოსადგომზე ტაქსის ხედავ და გაგიკვდება, რომ ხამოცდათერთმეტ წელს მანქანა ვერ ვიშოვნენთ მახლობელ უშხაანარამდე მისასვლელად.

— უშხვანარამდე ხომ ვერ მიგვიყვანთ?

— როგორ არა, დაბრძანდით...

ნუთუ ეს ის სვანეთია, როგორსაც ყოველთვის ვიცნობდი?

ცენტრალური მაგისტრალიდან, ცოტა ზევით გზას განშტოებები ეწყება. აქედან მიხვალ ჩურულდის მუზეუმ, სადაც მესტიის რეტროანსლატორია. ადიშხა და წვირმში, ეფირხა და უშგულში... დღეს პრაქტიკულად რაიონის ყველა სოფელი უკავშირდება მთავარ გზას. ხანლდეს მთის საძოვრებს მიხწვდა გზა, ზაგაროს ულელტეხილამდეც მივიდა. მულახში უკვე იზეიმეს პირველი საჩეისო ავტობუსის ასვლა, ეფარში 7 ნოემბერს იზეიმებენ. და ყველგან, გზისპირებს პარალელურად მიჰყვება ელექტროგადამცემი ხაზები. სინათლე იმდენია, რომ მესტიაში ღამით კოშკებსაც ანათებენ. გეგონება მწუხრის შავ ხავერდს მთის ბროლის ხვეტების ათინათი დასთამაშებსო.

ლენკერის შესასვლელში მანქანა ნეონის შუქის ფართო ზოლში ხვდება, სინათლეს გაუკეთავს ღამის წყვდიადი თვით მესტიამდე და იქ დღესავით ნათლად დავინახავთ მომხდარი ცვლილებების ცხად ნიშნებს.

84 წლის გრიგოლ ჭაფარიძე, რომელსაც ახსოვს ფილმ „სვანეთის მარილის“ გადაღება, პირველი ბორბალი და პირველი ლიანდი მესტიაში, ამბობს:

— ჩვენ ახლა გზაცა გვაქვს და სინათლეც...

რას გულისხმობს იგი? მარტოოდენ ამ ჭიუხებში შემოკრილ სინათლეს, თუ იმ გულდაჯერებასა და იმედიანობის ძალუმ ნათებას, დღეკანდელ ზემო სვანეთს რომ ახასიათებს? ალბათ, ერთსაც და მეორესაც. შინაგანი ნათება და გარეშემო სინათლე — თურმე, რაოდენ განუყოფელი და შერწყმული ყოფილა ერთმანეთთან მათი წყაროები! მაგრამ თუ მთავარ წყაროს არ მივაშორებ ვერაფერს გავიგებთ! ეს გზაც, ზემო სვანეთის სინათლეც, და ყოველივე დანარჩენიც. რაც ღღეს აოცებს ჩამოსულ კაცს, დაიწყო 1974 წლის აგვისტოში. როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მთავრობამ ღონისძიებანი განახორციელეს მესტიის, რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის.

კაცი და მთა

ელელი ხემლარ ხვიბლიანი ზურულდის მთაზე ბალახს თიბავდა. ფერდობი კილომეტრნახევრიან ციცაბოდ ეშვებოდა ენგურის ველში. „ფოშტელი“ კარგად ვერ ამოყრილიყო და სემლარი თითქმის პირწმინდად პარსავდა ფერდობს. ახე გაპარსა მთელი ფერდობი შორეულ არყამდე, მკერდზე მიიკრა ბალახის კონა და დინჯად აუყვა ზვინად მარხილისაკენ. უკან ქალიშვილი მისდევდა და კონიდან გადმოცვენილ ბალახებს კრეფდა. გოგონამ მთელი მუჭა მოაგროვა და ფრთხილად მიიტანა ბულულამდე...

მთიბავი ხვიბლიანისაგან ორმოცდაათოოდ მეტრის მოშორებით მუშაობდა მერაბ ხერგიანი, მესტიის რეტრანსლატორის ოცდასამი წლის მეთვალყურეოპერატორი. ელექტრონიკით გარშემორტყმული მერაბი ააპარატაში იჯდა და ხელსაწყოთა ჩვენებებს აკვირდებოდა, თან დროდადრო ტელეეკრანებს გაპხედავდა ხოლმე, ზემო სვანეთი უიქერდა და ისმენდა ოფენბახის „მშვენიერ ელენეს“.

ალსაფრთოვანებელი, კაცმა რომ თქვას, არაფერია. მარხილის საუკუნისა და ელექტრონიკის საუკუნის ახეთი სიახლოვე, კონტრასტები და დისპროპორციები თანამედროვე სვანის ცხოვნების დონეხა და მზარის საწარმოო ძალების განვითარების დონეში — ვერაფერი თავმოსაწონია. ვერ მოვიწონებთ თავს ამით, რომ აქ დიდხანს არ სწამდათ, რომ შესაძლებელი იყო ცვლილებები. რომელთა არსიც სწორედ დიხტანციის დაძლევა და მოხპობა იყო, რომ ხემლარ ხვიბლიანი და მისი ჭალები, და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი სვანის ოჯახი, სისხლს ანთხევდეს ციცაბო ფერდობებს, საფრთხეში იგდებდეს თავს ერთი მუჭა „ფოშტელის“ გულისთვის.

1975 წლის 7 ნოემბრისათვის, როცა ზემო სვანეთს ქუთაისიდან ტელეფიგნალები უნდა მიეღო, რაიონის მაღაზიებში ასობით ტელევიზორი ამოიტანეს. ტელევიზორს კაცშვილი არ ყიდულობდა — კი ეკრეტბოდათ: ტელევიზია სვანეთშო?! და მხოლოდ მაშინ, როცა მესტიის მოეფანზე დადგმული ტელევიზორის ეკრანიდან ცოხ-ფიერი ხინათელ გადმოიღვარა, მიაწყდა მაღაზიებს ხალხი...

ხანამ კურხებს დაამთავრებდა, მერაბ ხერგიანი ხეზონური მუშა იყო, მისი სოციალური როლი, როგორც სოციოლოგები იტყოდნენ, ნულოვან ნიშნულზე იდგა, პეიზპეტიკა კი არ ჰქონდა, ეს — გუშინ. ახლა კი ნახეთ, რა და რა პროფესიების მუშაკება სჭირდება ღღეს რაიონს: ექიმების, ვეტერინარების, ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლების ტრადიციულ დეფიციტთან ერთად აკლიათ ავტომატიკა-ტელემექანიკის სპეციალისტები, მშენებელი ინჟინრები და ჯზის მშენებლები. ეს ნაკლებობა ფრიად საგულისხმო და მრავლისმეტყველია: ახალი მოთხოვნილება ახალმა შესაძლებლობებმა გამოიწვია.

სვანეთის შესაძლებლობებს ყოველთვის მომავალ დროში ახსენებდნენ ხოლმე. ძალიან ნელა, აღმართში მომავალი კაცის ნელი ნაბიჯით ამოდიოდა აქ ცვლილებები. შემდეგ ოდნავ აუჩქარა ნაბიჯს — ოცდაათიან წლებში გაყვანილმა გზამ მესტია დასავლეთ საქართველოს დაუკავშირა, მაგრამ კავშირი მტკიცე ვერ იყო, ხშირად წყდებოდა...

— თითქმის მთელი დღე მოვუნდი ამ გზას, — გვიამბობს პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ბორის ხარალიძე, — და მთელი გზა ვფიქრობდი: განა გაართმევს იგი თავს იმ ამოცანებს, რომლებიც ჩვენ გვაქვს გადასაწყვეტი? გამოგიტყდებით და საკუთარ თავზეც ამასვე ვფიქრობდი: შევძლებ კია? როცა 1973 წლის სექტემბერში მესტიაში ჩამოვფრინდი, თვითმფრინავი დიდხანს დასტრიალებდა თავს აეროპორტს და ვერ დამჯდარიყო: აეროდრომზე ძროხები ბალახობდნენ. ღამით ნავთის ლამფა ავანთე, ვიჯექი და ვფიქრობდი, რით დავიწყო, როგორ დავაჯერო ხალხი, რომ ცვლილებები შესაძლებელია-მეთქი...

რაიკომის მდივანმა უგზოობით, მიხი დაძლევით დაიწყო. ვინ მოთვლის, რამდენი უვლია ტყე-ღრეში, სანამ სოფლებს მიაღწევდა, დადიოდა კარდაკარ, იჯდა, ისმენდა საჩივრებს, იწერდა. სურათი მართლაც გულმოსაკლავი იყო. ზოგ მეურნეობაში ხალხს უკანასკნელი ათი წლის მანძილზე არავითარი გასამრჯელო არ მიეღო. სკოლებისა და მადნიების უმრავლესობა კერძო სახლებში იყო შებინული. ერთი საფურაეე ძროხის წველადობა ძლივს აღწევდა 600 ლიტრს, მცირეპროდუქტიული პირუტყვის სულადობა ექვსიოდ ათასს შეადგენდა. კოლმეურნეობებს ორმილიონიანი ვალი ანრჩობდა. მიგრაცია სულ უფრო ხაშშ მასშტაბისა ხდებოდა...



ეროვნული საუნჯე

საქართველოს პროფკავშირთა ამოცანები

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს VI პლენუმი, რომელიც თბილისში გაიმართა, მიეძღვნა რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების იმ ამოცანების განხილვას, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის დადგენილებიდან და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრკ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ამ პლენუმზე გაკეთებული მოხსენებიდან.

პლენუმზე მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის პროფსაბჭოს თავმჯდომარემ თ. მოსაშვილმა.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ ცხინვალის რაიონის არცევის საბჭოთა მეურნეობის მწყემსი ვ. ბუკულოვი, აჭარის საოლქო პროფსაბჭოს თავმჯდომარე შ. ოქროპირიძე, დუშეთის რაიონის გუდამაყრის კოლმეურნეობის მწველავი ე. წიკლაური, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ნ. ჭითანავა, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე კ. შავიშვილი და სხვები.

მომხსენებელმა და გამოსულებმა აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში უკანასკნელი წლების მანძილზე მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა. განმტკიცდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაიზარდა მათი ენერგეტიკული სიმძლავრეები. სოფლის მეურნეობისათვის მომზადებულია ახალი კადრები, რომელთაგან მარტო 3.400 საშუალო რგოლის სპეციალისტია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

„პროფკავშირული ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობენ სოფლის მეურნეობის განვითარების კომპლექსური პროგრამის შესრულებაში. მათ მთელი რიგი ღონისძიებანი განხორციელეს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის გაუმჯობესების, კოლმეურნეთა აქტიურობის ამაღლების, საქართველოს სოფლის მშრომელთა ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებისათვის.

წელს, აღინიშნა პლენუმზე, ჩვენი რესპუბლიკის წარჩინებული მეჩაიეები, რომლებიც ცდილობენ ღირსეულად შეხვდნენ სსრ კავშირის კონსტიტუციის მიღების წლისთავს, არნახული ალმაცერობით მუშაობდნენ. ამან გავლენა მოახდინა მათი შრომის შედეგებზეც: ამ დღეებში მათ სამშობლოს უპატაკეს სოციალისტური ვალდებულების შესრულება — სახელმწიფოს მიჰყიდეს 420.553 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ზვრებში შრომითი გამარჯვებებით აღნიშნავენ სსრ კავშირის კონსტიტუციის წლისთავს მეგეონახეებიც. მან ვალდებულება იკისრეს წლის დამლევამდე ქვეყანას მისცენ 512 ათასი ტონა ყურძენი. მიუხედავად სტიქიისა და ჭვალისა, ქართველმა მეგეონახეებმა რეკორდული მოსავალი მოიწიეს, ახლა ისინი ესწრაფვიან რთველი დაამთავრონ შემეძიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ.

ამასთან, — აღინიშნა პლენუმზე, — რესპუბლიკის მთელი რიგი პროფკავშირული ორგანიზაციები ჯერ კიდევ საკმარისად არ მონაწილეობენ სკკპ აგრარული პოლიტიკის განხორციელებისათვის ბრძოლაში. ისევ სუსტია შრომის ორგანიზაცია და დისციპლინა.

ბევრი ნაკლი და გადაუჭრელი საკითხია სოფლის მშრომელთა შრომისა და დასვენების პირობების გაუმჯობესების საქმეში.

პლენუმის მონაწილეთა გამოსვლები გამსჭვალული იყო ზრუნვით იმისათვის, რომ მოსავლის აღება ჩაატარონ უდანაკარგოდ და შემეძიდროებულ ვადებში, შექმნან მტკიცე საკვები ბაზა, დროულად შეასრულონ მომავალი წლის მოსავლის სამუშაოთა კომპლექსი, შექმნან საფუძველი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა და „ქალაქ ბაქოსათვის ლენინის ორდენის გადაცემის დროს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გამოთქმულ მითითებათა წარმატებით განხორციელებისათვის.

პლენუმზე დაისახა ღონისძიებანი მომდინარე წლისა და მთლიანად ხუთწლედის გეგმებისა და გაღდებულებების უფუო შესასრულებლად.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. გელდიაშვილი, — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ო. ვარძელაშვილი. (საქინფორმი).



ეროვნული საუნჯე

გამოვიდა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მე-3 ტომი

მკითხველებს უთუოდ ახსოვთ, რომ ქსე-ს პირველი ტომი განმარტავს ტერმინებს „ა“-დან „ატოცის“ ჩათვლით, ხოლო მეორე — „ატოცობიდან“ „გარიგამდე“. მესამე ტომი ესტაფეტას აგრძელებს ტერმინიდან „გარიგება“. ვიდრე თავის სალიმიტო 42 ფიზიკურ ნაბეჭდ თაბახს გაასრულებდეს, ტომი ჩვენს მკითხველს 4.856 სტატიას სთავაზობს. გამოცემამ, რომელიც ჩაქსოვილია რესპუბლიკის მთელი მეცნიერული საზოგადოებრიობის, პირველ ყოვლისა, მთავარი სარედაქციო კოლეგიის, მრავალდარგოვანი სამეცნიერო საბჭოებისა და სექციების, მეცნიერ-რედაქტორთა უკვე კი ამოცდილი კოლეგიტეგისა და სტამბის მუშაკთა დიდი ხნის შრომა, ქართველენოვანი საენციკლოპედიო ყამირი გაიტანა ტერმინ „ეგემდე“-ესაა სწორედ მესამე ტომის ოცანასკნელი — 4.856-ე ტერმინ-სტატია.

ამ რიცხვიდან 1000-ს საგრძნობლად აჭარბებს ქართული სინამდვილისადმი მიძღვნილი სტატიები. საინტერესოა ასეთი მონაცემებიც: მსოფლიო ისტორიის საკითხებს ეხება მესამე ტომის 469 სტატია, სსრკ ხალხთა ისტორიას — 364, საქართველოს ისტორიას — 253 სტატია. თუ გავითვალისწინებთ ამ დისციპლინათა პროპორციებსა და შეფარდებას, ადვილად დავინახავთ, რომ საბჭოთა და მასთან ერთად ქართულ სინამდვილის ამ მხრიც(ა) დიდი მოცულობა ეთმობა. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებანი ტომში წარმოდგენილია 640 ტერმინით, რომელსაც ემატება საქართველოს გეოგრაფიისადმი მიძღვნილი 497 სტატია. ხელოვნების დარგებიდან ტომში შესულია 449 სტატია. ენისა და ლიტერატურის საკითხებს ეხება 410 სტატია. სათანადო მოცულობა ეთმობა ავრეთვე ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის, სახალხო განათლებისა და პრესის, ფიზიკა-მათემატიკა-ქიმიის და ტექნიკის, მედიცინის, ბიოლოგიისა და სოფლის მეურნეობის ტერმინებს, რომელნიც ანბანის რიგის მიხედვით მოექცნენ მესამე ტომის ზემოთაღნიშნულ ჩარჩოებში. ტომში შესულ მნიშვნელოვან სტატიათაგან პირველ რიგში აღსანიშნავია: დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, დიდი სამამულო ომი 1941-45, დიალექტიკური მატერიალიზმი, დედამიწა, გერმანია, გფრ, დიდი ბრიტანეთი, გეოგრაფია, გეოდეზია, გეომეტრია, გეოფიზიკა, გეოქიმია, გეოლოგიური წელთაღრიცხვა, გრავიმეტრია, გრამატიკა, დამხსომებელი მოწყობილობა, დემოგრაფია, გრაფვიერა, დეკორაციული ხელოვნება, დრამა, გლეხობა, გული, გორი; გუდაუთა, გურჯაანი, დმანისი და მათი რაიონები, გელათი, გრემი, გოეთე, დანტე, დოსტოევსკი, გორკი, გოია, დეკარტი, დიდრო, დეკაბრისტები, გერცენი, დობროლიუბოვი, გლინკა, გოგოლი, გრიბოედოვი, გიორგი მერჩული, გიორგი ბმაფშენდელი, გრიგოლ ხანძთელი, გიორგი ბრწყინვალე, დავით აღმაშენებელი, დიმიტრი თავდადებული, გოგებაშვილი, გურამიშვილი, დოდაშვილი, ლადო გუდიაშვილი, დიმიტრი გულია, ვალერიან გუნია, შალვა დადიანი და ა. შ.

მაგრამ მხოლოდ ამ სტატიებით არ ამოწურავს ქსე-ს მესამე ტომი მკითხველისათვის საინტერესო საკითხების განმარტებას და ცნობების მიწოდებას. სტატიებს ახლავს რამდენიმე ათასი რეკომენდებული ბიბლიოგრაფიული ერთეული, რომელიც ყოველ მსურველს ფასდაუდებელ დახმარებას გაუწევს ამა თუ იმ საკითხისა და პრობლემის ღრმად შესწავლაში. ბევრი ტექსტის საცნობარო ღირებულება შეუდარებლადაა გაზრდილი შესატყვისი ილუსტრაციებით, სქემებით, ნახატებითა და ნახაზებით, ცხრილებით, რომელთა რაოდენობა 1800-ს აჭარბებს, აქედან 1500 შავ-თეთრი ილუსტრაციაა და 47 შავ-თეთრი რუკა. ტომი შეიცავს ავრეთვე ღრმა ბეჭდვის 20 ჩანართს, მაღალი ბეჭდვის 9 ფურცელ ჩანართს.

იდეურ-შინაარსობრივი თვალსაზრისით ქსე-ს მესამე ტომიც, თავის წინამორბედთა მსგავსად, ემსახურება მთელი გამოცემის წინაშე დასახული სტრატეგიული ამოცანის განხორციელებას: მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის საფუძველზე გააშუქოს ჩვენი ერის დამოკიდებულება მსოფლიო ისტორიისა და თანამედროვეობის ყველა აქტუალური საკითხისა და პრობლემისადმი, კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნისადმი, ზოგადსაკაცობრიო კულტურისადმი; ასახოს მეცნიერებისა და ტექნიკის დღევანდელი დონე, დღეს მიმდინარე უდიდესი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ცვლილებები, ჩვენი დიდი ქვეყნის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებები, რომელთა ფონზე უფრო დაწვრილებით და ღრმად უნდა წარმოადგინოს ქართველი ხალხის გმირული ისტორიული წარსული და განსაკუთრებით, სწორუპოვარი მიღწევები ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის სფეროებში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ქსე-ს პირველმა ტომმა, ერთდროულად და პირველმა საცნობარო და საენციკლოპედიო ლიტერატურის დარგში, წიგნის ხელოვნების დიდ საკავშირო კონკურსში, რომელსაც ეწოდებოდა „წიგნი-75“, მიეკუთვნა I ხარისხის დიპლომი. მაღალი შეფასება დაიმსახურა მეორე ტომმაც: იგი 1977 წელს რესპუბლიკის საუკეთესო წიგნად იქნა აღიარებული.

საერთაშორისო ცხოვრება

საკვლევი იტყობინება

თანამედროვეობის მთავარი პროგლემა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე

ნიუ-იორკი, (საკუთარი კორესპონდენტი). განიარაღების, დაძაბულობის შენელების პროცესის განმტკიცების, საერთაშორისო მშვიდობის დამკვიდრების პრობლემები დგას კვლავ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 33-ე სესიის ყურადღების ცენტრში. სესიის მონაწილენი ფართოდ უჭერენ მხარს და იწონებენ ახალ საბჭოთა ინიციატივებს, რომლებიც გამალებული შეიარაღების ალაგმვისა და შეკლებლივ ყველა სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველყოფის კონკრეტულ გზებს სახავენ.

უბერთვო სახელმწიფოთა უშიშროების გარანტიების განმტკიცების შესახებ საერთაშორისო კონვენციის დადება თაობაზე. ამ წინადადებას, ხაზი გაუსვა მან, საფუძველად უდევს უბრთვო სახელმწიფოთა სურვილები მათი უშიშროების გარანტიათა გამო. ამავე დროს კონვენცია განამტკიცებს ბირთვული იარაღის გაფვრცელებლობის რეჟიმს.

განიარაღების პრობლემის უსწრაფესად გადაწყვეტას დაუჭირა მხარი ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. ორეგამ. დაუოკებელი გამალებული შეიარაღება, განაცხადა მან, უდადეს ეკონომიკურ და სოციალურ ზარალს აყენებს ყველა ქვეყნის ხალხებს. მინისტრმა მხარი დაუჭირა საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობის პრინციპებს, რომლებიც, როგორც ცნობილია, ზუსტად აისახა საბჭოთა კავშირის წინადადებაში საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობის მსოფლიო ხელშეკრულების დადების თაობაზე.

ისრაელის აგრესიული, ექსპანსიონისტური კურსი მკაცრად გააკრიტიკა ირდანიის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა ჰ. იბრაგიმმა. უხეშად არღვევს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს და უგულებელყოფს რა საერთაშორისო საზოგადოებრიობის მოთხოვნებს, თქვა მან, ისრაელი კვლავ გაძლიერებით ადგას ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე თავის კოლონიური ანექსიების შექმნის პოლიტიკას. ირდანიის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ ახლო აღმოსავლეთის პრობლემის სამართლიანი და ყოვლისმომცველი გადაწყვეტის მისაღწევად კემპ-დევიდის სეპარატული შეხვედრის მონაწილეთა მიერ შემოთავაზებული რეცეპტები არ გამოდგება. ასეთი გადაწყვეტა, თქვა მან, მხოლოდ ქაშინ იქნება შესაძლებელი, თუ სრულიად დაკმაყოფილებენ პალესტინის არაბი ხალხის კანონიერ უფლებებს, მათ შორის ეროვნული თვითგამორკვევის უფლებას, და ისრაელი დატოვებს ყველა ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიას. ჰ. იბრაგიმმა დაადასტურა ირდანიის პოზიცია, რომლის თანახმად ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოწესრიგების გზების ძიებაში ულტლბლივ ყველა დაინტერესებული მხარე უნდა მონაწილეობდეს.

აფრიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა თავიანთი გამოსვლებში გაკვლეს წყროთით დაგმეს თეთრკანიანი უმცირესობის რასისტული რეჟიმები, რომლებიც ცდილობენ შეინარჩუნონ თავიანთი კოლონიური ბატონობა აფრიკის კონტინენტის სამხრეთ ნაწილში. დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფოს ფართო მხარდაჭერის წყალობით სამხრეთ აფრიკის რასპუბლიკა და როდეზია ცდილობენ ნამიბიისა და ზიმბაბვეს ხალხებს წაართვან დამოუკიდებლობისა და თვითგამორკვევის კანონიერი უფლება, განაცხადა ტანზანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ. მკაპამ.

ლიბანი:

საბრძოლო მოქმედების მსკალაცია

ბეირუთი. ლიბანის დედაქალაქში დაძაბულია მდგომარეობა, რომელიც მკვეთრად გამწვავდა კონსერვატიული შეიარაღებული შენაერთების პროვოკაციული მოქმედების შედეგად. ქალაქის აღმოსავლეთ რაიონებში არ წყდება გაფფრენელი სროლა, რომლის დროსაც იყენებენ მძიმე არტილერიას, ნაღმსატყორცნებს, სარაკეტო დანადგარებს. აქტიურად მოქმედებენ მემარჯვენე ქრისტიანი სნაიპერები, რომლებიც ინტენსიურად უშენენ ცეცხლს არაბული ქვეყნების მშვიდობის დამცველ ძალებს.

აღმოსავლეთ ბეირუთის ზოგიერთი უბანი ნანგრეულად იქცა, ქალაქი ცეცხლის აღშია გახვეული, დარღვეულია ენერგიისა და წყალმომარაგება. უკანასკნელ დღეებში საომარი მოქმედება გავრცელდა დედაქალაქის სხვა რაიონებშიც. ბეირუთელები ტოვებენ სახლებს, რათა გადაურჩნენ საარტილერიო თავდასხმებს. ქალაქის დასავლეთ რაიონებში სულ უფრო ხშირად ფეთქდება ჭურვები და ნაღმები. გუშინ ბრძოლა გაჩაღდა ბეირუთის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ გარეუბნებში. შეიარაღებული შეტაკების მსვერპლი ხშირად მშვიდობიანი მცხოვრებლები არიან. წინასწარი მონაცემებით უკანასკნელ დღეებში დაიღუპა 32 და დაიჭრა დაახლოებით 200 კაცი.

როგორც ადგილობრივი მიმოხილველები აღნიშნავენ, განუწყვეტელი სისხლისღვრა მოყვა ლიბანელ მებრძოლთა პროგოკაციულ მოქმედებას. ისინი ცდილობენ ბეიტლურ ცენტრალური ხელისუფალნი არ გაუგრძელონ მანდატი არაბული ქვეყნების მშვიდობის დამცველ ძალებს. ლიბანში დაძაბულობის ესკალაციამ დღისასთვის არნახულ მასშტაბს მიაღწია, განაცხადა გუშინ რადიოთი გამოსულმა სეს ქვეყნის პრეზიდენტმა ი. სარქისმა.

საყოველთაო არჩევნების შესახებ

ლისაბონი. პორტუგალიის რესპუბლიკის კრებამ კომუნისტების, სოციალისტებისა და დემოუკიდებლობის დეპუტატთა ხმის უმრავლესობით მიიღონა ახალი საარჩევნო კანონი, რომელიც შემუშავებულია მემარცხენე პარტიების პროექტების საფუძველზე. კანონს კენჭი უყარეს პარლამენტის აქ მომდინარე რიგგარეშე სესიის პლენარულ სხდომაზე. კანონის წინააღმდეგ ხმა მისცეს შემარჯვენე პარტიებმა — სოციალურ-დემოკრატული პარტიისა და სოციალურ-დემოკრატიული ცენტრის წარმომადგენლებმა.

გაღაჭრით უარყოფენ

ამერიკული „ინიციატივის“ წინააღმდეგ

ბეირუთი. ლიბანელი ხალხი უარყოფს ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებას ლიბანის გამო საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ და მოითხოვს შეწყვეს მის საშინაო საქმეებში ჩარევა, განაცხადა ლიბანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოადგილემ, ქვეყნის ეროვნულ-პატრიოტული ძალების ცენტრალური პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ უ. ჰაუმმ.

დაძაბულობის აბალი გამწვავება ამ ამერიკული „ინიციატივის“ ერთ-ერთი პირველი შედეგია, ხაზი გაუსვა მან და აღნიშნა, რომ ვაშინგტონის წინადადების პარალელურად მემარჯვენე ძალებმა ულტიმატური ფორმით მთავრობას მოსთხოვეს ხელი აიღოს ლიბანში მშვიდობის მხარდაჭერის არაბული ქვეყნების ძალების მანდატის ვადის გაგრძელებაზე.

ამერიკის შეერთებული შტატების „ინიციატივა“ წამოყენებულია კემპ-დევიდის თათბირის გადაწყვეტილებათა შესაბამისად და მიზნად ისახავს დააკანონოს ისრაელის ჩარევა ლიბანის საქმეებში და ლიბანის კრიზისის გადაწყვეტაში მონაწილეობა მიაღებინოს ეგვიპტეს. ისევე როგორც დანარჩენი იმპერიალისტური აგრესიები, ვერც ეგი ვერ მოუტახს ლიბანს ვერაფერს, გარდა შეიარაღებული შეტაკებისა და სისხლისღვრისა, თქვა ე. ჰაუმ.

სირიის პოზიცია

დამასკო. სირიამ უარყო ამერიკის შეერთებული შტატების წინადადება ლიბანის პრობლემის განსახილველად საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის თაობაზე.

ამ გამოქვეყნებულ ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია: ბოლო ხანს დაიბეგდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტიდან გამომდინარე ცნობები იმის შესახებ, რომ განვლილი ორი კვირის მანძილზე ამერიკის ადმინისტრაციას კონტაქტები ჰქონდა ზოგიერთ ქვეყანასთან, მათ შორის სირიასთან, ლიბანის მდგომარეობის განსახილველად საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის გამო და რომ სირია თითქოს დათანხმა ასეთი კონფერენციის მოწვევის იდეას. ასეთი მტკიცებანი განცვიფრებას იწვევს, რადგან სირია არ განუხილავს ასეთი იდეა და არც არასოდეს დათანხმება ასეთი კონფერენციის მოწვევას. სირია მხარს უჭერს მოქმედების მხოლოდ ისეთ გეგმას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ლიბანელ პარტიები და დაჯგუფებანი, და უარყოფს ლიბანის მდგომარეობის განხილვის ნებისმიერ სხვა ფორმას, რომელშიც მონაწილეობას არ მიიღებენ ეს პარტიები და დაჯგუფებანი.

საერგებლობის მოტანი მხოლოდ ისეთ კონფერენციას შეუძლია, რომელსაც თეთონ ლიბანის კონფლიქტის მონაწილენი მოიწვევენ; ყოველგვარი სხვა კონფერენცია უსარგებლოა, რადგან მხოლოდ ამის ცდა იქნება, რომ ჩაერთონ სხვა ხალხების საქმეებში და თავს მოახვიონ მათ მეურვეობა.

არაპოპულარული კურსი

ბლეკპული. ინგლისის მთავრობა კვლავაც აპირებს განახორციელოს მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის ზრდის შეზღუდვის კურსი. ასეთი აზრი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ჯ. კალაგენის გამოსვლისა ლეიბორისტული პარტიის 77-ე ყოველწლიურ კონფერენციაზე, რომელიც აქ მიმდინარეობს.

პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ ინგლისი უწინდებურად ჩამორჩება ევროპის ძირითად ქვეყნებს მთელ რიგ წამყვან ეკონომიკურ მაჩვენებლებში ინგლისის კაპიტალს მეთაურმა ხაზი გაუსვა, რომ ქვეყანაში უმუშევრობისა და ინფლაციის ისევ მაღალი დონეა. ამავე დროს ჯ. კალაგენმა არსებითად უგულებელყო კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს ქვეყნის ეკონომიკური კურსის ძირეულად გადასინჯვას. მან დუმილით აუარა გვერდი დელეგატების მოწოდებას გადადგან სოციალური საჭიროებისათვის გამოყენილი ასიგნებანი, შემოიღონ მტკიცე კონტროლი იმპორტის მიმართ, უზრუნველყონ შრომითი შეთანხმების თავისუფლად დადების პრაქტიკის აღდგენა.

ამის ნაცვლად პრემიერ-მინისტრი შეეცადა ქვეყანაში ინფლაციის მაღალი დონის გამო ბრალი დაეკისრებინა მშრომელებისათვის, რომლებიც თითქოსდა გადაჭარბებულ მოთხოვნებს აყენებენ ხელფასის მომატების შესახებ.

ხელპეტის „დემოკრატიკ“

ბრძოლის ძირითადი მიმართულებანი

გეს ჰოლის ინტერვიუ

ამერიკის კომუნისტთა საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია ბრძოლა სოციალიზმისათვის, მთელი ანტიმონოპოლისტური ძალების ერთიანობისათვის, მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების მძლავრი მასობრივი მოძრაობის შექმნა, ბრძოლა რასიზმის წინააღმდეგ. განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის გენერალურმა მდივანმა გეს ჰოლმა კუბის ჟურნალ „ვერდე ოლივოსათვის“ მიცემულ ინტერვიუში.

ამერიკელი კომუნისტები უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებენ ბრძოლას სოციალისტურ ქვეყნებთან შეერთებული შტატების დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის განვითარებისათვის, თქვა მან. ამიტომ მტკიცედ ვებრძვით მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, მოვთხოვთ მშვიდობიანი ურთიერთობა დამყარდეს კუბასთან, ბოლო მოეღოს ამპერიალისტურ აგრესიას ამ ქვეყნის მიმართ. გ. ჰოლმა აღნიშნა, რომ ამ პოზიციას ფართოდ უჭერენ მხარს ამ ქვეყანაში.

ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ხელმძღვანელთა პოლიტიკა. ამერიკის საგარეო პოლიტიკის შემქმნელთა დოკუმენტებში, თქვა მან, ახლა შესვლებით სტყუვებს „ჩვენი მოკავშირეები და ჩინეთი“. მაოისტები ესწრაფვიან თავიანთი ინტერესებისათვის გამოიყენონ წინააღმდეგობა სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის. ეს არის მაოიზმის ნამდვილი ოპორტუნისტული არსი. პეკინის კურსი ასუსტებს ჩვენს ბრძოლას ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. მაოისტები მხარს უჭერენ ჩილეელ ფაშისტებს, და ეს გვეხება უშუალოდ ჩვენ, რადგან ხუნტა ხელისუფლების სათავეში ძლებს ამერიკის იმპერიალიზმის წყალობით. როცა მაოისტები აფრიკაში მოქმედებენ ცენტრალურ საფაზვერეო სამმართველოსთან ერთად, ესეც ჩვენი პრობლემა ხდება. ჩინეთის საგარეო პოლიტიკაში ასეთ ასპექტებს მრავალად ნახავთ. ახლა ვლინდება იმის ნიშნები, თქვა მან, რომ მაოს მემკვიდრენი ცდილობენ ჩინეთსა და ამერიკას შეერთებულ შტატებს შორის შექმნან სამხედრო კავშირი. ეს არ გვაკვირვებს, რადგან ჯერ კიდევ 6-7 წლის წინათ ჩინეთის ხელმძღვანელები მიმართავდნენ ამგვარ ქარაგმებს, რომ სურდათ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის შეექმნათ სამხედრო ალიანსი ანტიპონის მონაწილეობით.

თავის დროზე, თქვა გ. ჰოლმა, შეერთებულმა შტატებმა ჩინეთის მიმართ გამოიყენა „ზარბაზნის ენა“. დღეს ჩინეთი თვითონ მიმართავს ამავე „ზარბაზნის ენას“ სოციალისტური ეიტნამის მიმართ. მან აღნიშნა, რომ ახლა გაიზარდა ამერიკის იმპერიალიზმის ინტერესი აფრიკისადმი, რომელიც უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე ამერიკის მონოპოლიების საქმიანობის ფართო სარბიელად იქცა. მის შეშფოთებას იწვევს ეროვნული განთავისუფლებისათვის აფრიკელ ხალხთა მზარდი მოძრაობა, რომელსაც ეხმარებიან საბჭოთა კავშირი, კუბა, სხვა სოციალისტური ქვეყნები.

ამერიკელ კომუნისტთა ლიდერმა დაგმო მლიქვნელური კამპანია ადამიანის უფლებების „დასაცავად“, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციულმა წრეებმა გაიჩაღეს. თვით შეერთებულ შტატებში, თქვა მან, მსხვილი კორპორაციები, დიდი ბიზნესი, რომლის კონტროლს ექვემდებარება სახელმწიფო და მისი პოლიტიკა, ფეხქვეშ თელავენ კონსტიტუციის და ყოველდღიურად არღვევენ ამერიკელ მოქალაქეთა უფლებებს.

მოლაპარაკება განახლდა

ვენის ჰოფბურგის სასახლეში ზეფხულის შესვენების შემდეგ განახლდა მოლაპარაკება ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთშემცირების შესახებ. მოლაპარაკებში მონაწილეობენ ევროპის 17 სახელმწიფოს, მათ შორის საბჭოთა კავშირის, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის წარმომადგენლები.

ამ მოლაპარაკების მნიშვნელობას განსაზღვრავს ის, რომ მისი წარმატებით დამთავრება შესაძლებელს გახდის ევროპაში პოლიტიკური დაძაბულობის შენელება შეიესოს სამხედრო-რეგიონ დაძაბულობის შენელებით.

საერთაშორისო სამართლის ნორმების საპირისპიროდ

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა ხელი მოაწერა კანონს, რომელიც იმუნიტეტებსა და პრივილეგიებს უწყდება ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე უცხოეთის სახელმწიფოთა დიპლომატიურ წარმომადგენლობებს, მათ შორის წარმომადგენლობებს აფრთიანებული ერების ორგანიზაციაში. კანონი ძალაში შევა 90 დღის შემდეგ.

კონკრეტულად საქმე უწინარეს ყოვლისა ეხება დიპლომატიური იმუნიტეტებისა და პრივილეგიების მქონე პირთა მიმართ სამართლო გარჩევის ახალი წესის შემოღებას. საერთაშორისო პრაქტიკის თვალსაზრისით უპრეცედენტო დებულება, რომ წარმომადგენლობათა თანამშრომლებმა ამერიკის სასამართლოებს უნდა მიმართონ იმის დასადგენად, აქვთ თუ არა ამ პირებს დიპლომატიური იმუნიტეტები და პრივილეგიები, აგრეთვე ადგილობრივი სასამართლოებისათვის იმ უფლების მინიჭება, რომ გამოიტანონ გადაწყვეტილებანი — აქვს თუ არა დიპლომატიური წარმომადგენლობის კონკრეტულ თანამშრომელს შესაბამისი იმუნიტეტები და პრივილეგიები.

ასეთი დებულებების გამოყენებას შეიძლება სერიოზული უთანხმოებანი მოაყვეს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა და ადგილსამყოფელი ქვეყნის ხელისუფალთა შორის, და, ამრიგად, შესაბამის სახელმწიფოთა შორის.

ამერიკის ხელისუფალთა გადაწყვეტილებამ აღაშფოთა ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფ უცხოელ დიპლომატთა წრეები, რადგან იგი ეწინააღმდეგება ვალდებულებებს, რომლებიც შეერთებულმა შტატებმა აიღო დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ 1961 წლის კონვენციით, აგრეთვე თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ნორმებს. (საკუთარი).

„ტოკამაკების“ წარმატება

მილიონ 60 მილიონი გრადუსი



საბჭოთა კავშირში შეიქმნა და პირველი წარმატებული ნაბიჯები გადადგა დანადგარმა „ტოკამაკმა“, რომელიც გაფვალისწინებულია იმისათვის, რომ განახორციელოს სამართავი თერმობირთვული სინთეზი. ამჟამად ამ ტიპის დანადგარზე ამერიკელმა ფიზიკოსებმა შეძლეს 60 მილიონ გრადუსამდე „გაეხურებინათ“ პლაზმა. სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები გაერთიანებული მეცადინეობით კვალავენ მომავლის ბირთვული ენერგეტიკის გზას.

ამ ამბის გამო ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მოადგილეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს ჯუმბერ ლომინაძეს.

კითხვა: მთელ მსოფლიოში დიდი ხენსაცია გამოიწვია პლაზმის ფიზიკისა და სამართავი თერმობირთვული სინთეზის დარგში მიღებულმა მეცნიერულმა შედეგებმა. შეესაბამება თუ არა ეს სინამდვილეს. გთხოვთ, მოკლედ უამბოთ ამის შესახებ ჩვენს მკითხველებს.

პასუხი: დაახლოებით თვე-ნახევრის წინათ მიღებულ იქნა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში პრინსტონის უნივერსიტეტის პლაზმის ფიზიკის ლაბორატორიაში შესაძლებელი გახდა პლაზმის გახურება 60 მილიონ გრადუსამდე, რაც ბევრჯერ აღემატება მზის ტემპერატურას მის ცენტრში. აღნიშნული ექსპერიმენტი განხორციელდა თერმობირთვულ დანადგარზე (ტოკამაკი), უფრო ზუსტად PLT-ზე (პრინსტონის დიდი ტოროიდი). აქვე მინდა აღვნიშნო, რომ, როდესაც ამ ლაბორატორიის ხელმძღვანელმა პროფესორმა მელვინ გოტლიებმა პირველი ინტერვიუ მისცა ამერიკის ტელევიზიასა და პრესას (ეს ინტერვიუ გადაიცა ავგრეთვე საკავშირო საინფორმაციო პროგრამით — „ვრემია“) მან პირდაპირ განაცხადა, რომ ამ მეცნიერული შედეგების მიღებაში დიდი საბჭოთა კავშირის პლაზმის ფიზიკის სპეციალისტების წვლილი, რომ ასეთი ექსპერიმენტის ჩატარება შეუძლებელი იყო საბჭოთა ფიზიკოსების მიღწევების გარეშე. მას ამ შემთხვევაში მხედველობაში ჰქონდა ის უდიდესი წვლილი, რომელიც ამ საკითხის დამუშავებაში შეიტანეს ჩვენმა მეცნიერებმა და, კერძოდ ის, რომ ამ ტიპის დანადგარი, რომელზეც ეს შედეგები მიიღეს, შექმნა პირველად საბჭოთა კავშირმა, რომელსაც ტოკამაკი უწოდეს. და სწორედ ამ დანადგარზე 70-იან წლებში ი. კურჩატოვის სახელობის ატომური ენერგიის ინსტიტუტში აკადემიკოს ლევ არციმოვიჩის ხელმძღვანელობით მიღებულ იქნა მსოფლიოში საუკეთესო შედეგები (პლაზმის ტემპერატურამ მიაღწია 7-8 მილიონ გრადუსს) და ამ დროიდან დაიწყო ტოკამაკების ექსპორტი საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნებში.

მსოფლიოში ყველაზე დიდი ტოკამაკი T-10 ამოქმედდა 1975 წლის 29 ივნისს ი. კურჩატოვის სახელობის ატომური ენერგიის ინსტიტუტში, ხოლო ამავე ტიპის დანადგარი PTL-ი 20 დეკემბერს ამერიკაში, პრინსტონის უნივერსიტეტში. ამ ახალი თაობის უფრო მძლავრ ტოკამაკებზე მიღებულ იქნა ჯერ 10 მილიონი შემდეგ კი 20 მილიონი გრადუსი ტემპერატურა და ბოლოს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 60 მილიონი გრადუსი.

კითხვა: რას წარმოადგენს თერმობირთვული დანადგარი ტოკამაკი და რა პირობებია საჭირო თერმობირთვული რეაქციის განსახორციელებლად?

პასუხი: აღნიშნული ტიპის ტოკამაკი წარმოადგენს უზარმაზარ ტოროიდს, რომლის დიდი რადიუსი დაახლოებით 130 სანტიმეტრია, ხოლო მცირე რადიუსი, სადაც სწორედ პლაზმაა მოთავსებული, — 40 სანტიმეტრი. ასეთ დანადგარში გადის დაახლოებით ნახევარი მილიონი ამპერი დენი, ხოლო მაგნიტური ველის დაძაბულობა 35 ათასი გაუსია, იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს უმრეტი ენერგიის წყაროს მიღება — თერმობირთვული რეაქციის წარმართვა, ანუ ბუნებრივ პირობებში იმ პროცესების გაჩნობილიერება, რომლებიც მზეზე მიმდინარეობს, საჭიროა ორი ძირითადი პრობლემის გადაწყვეტა: პირველი—უცილებელია პლაზმის გახურება თერმობირთვულ ტემპერატურამდე, მეორე — ამ გაგავარებული პლაზმის შეკავება გარკვეული დროის განმავლობაში. პრინსტონში ჩატარებულ ექსპერიმენტებში პლაზმის სიმკვრივე შეადგენდა 10^{13} სმ$^{-3}$, ხოლო შეკავების დრო — წამის ორმოცდამეათედს.

კითხვა: მაინც რა პრინციპული სახასლეა პრინსტონის ლაბორატორიაში მიღებულ შედეგებში?

პასუხი: პირველად მიღებულია 60 მილიონი ტემპერატურის მქონე პლაზმა. ეს კი ის ტემპერატურაა, რომლის დროსაც შესაძლებელია თერმობირთვული რეაქციის წარმართვა.

აღნიშნულ დანადგარში განხორციელებულია ისეთი რეჟიმი, რომელშიც იმუშავებს მომავლის თერმობირთვული რეაქტორი.

კითხვა: გაშუქებულია თუ არა ეს შედეგები სპეციალურ მეცნიერულ ჟურნალებში? მოხსენებულია თუ არა ისინი საერთაშორისო კონფერენციაზე?

პასუხი: პრინსტონის უნივერსიტეტში მიღებული შედეგები პირველად მოხსენებული იყო ა. წ. 23 აგვისტოს ავსტრიის ქალაქ ინსბრუკში, საერთაშორისო თერმობირთვული რეაქციებისა და პლაზმის ფიზიკის საერთაშორისო კონფერენციაზე.

მე სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ კონფერენციის ოფიციალური გახსნის შემდეგ (კონფერენციას ესწრებოდა დაახლოებით 800 კაცი) პირველი სხდომა მიეძღვნა გამოჩენილი საბჭოთა ფიზიკოსის აკადემიკოს ლევ არციმოვიჩის ხსოვნას, რომელსაც მომავალ წელს დაბადების 70 წელი უსრულდება. აკადემიკოს ლ. არციმოვიჩის მეცნიერულ დამსახურებაზე პლაზმის ფიზიკისა და სამართავი თერმობირთვული სინთეზის განვითარებაში. ნაჩვენები იქნა ფილმი აკადემიკოს ლ. არციმოვიჩის ამერიკის შეერთებული შტატების სამეცნიერო ცენტრებში მისი გამოსვლების შესახებ. ამ კონფერენციაზე ერთხელ კიდევ მაღალი შეფასება დაიმსახურეს ტოკამაკის დანადგარებზე მიღებულმა შედეგებმა, მათ შორის საბჭოთა ტოკამაკებზე T-10 და T-11 ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა.

კითხვა: ეს უდიდესი პრობლემა ენერგეტიკის დარგში შეიძლება თუ არა ჩაითვალოს უკვე გადაწყვეტილად?

პასუხი: რასაკვირველია, არა, თუმცა გადადგმულია წინ კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩატარებული ექსპერიმენტები თერმობირთვული სინთეზის დარგში ამკამად ფიზიკური იდეის რეალიზაციის საზღვარზეა. საჭიროა კიდევ მრავალი სიძნელის გადალახვა. ეუცილებელია, რომ პლაზმა შეეკავოთ გაცილებით მეტი ხნის განმავლობაში, ასევე რთულია რამე პროგნოზის, გაკეთება, თუმცა ბევრი მეცნიერის აზრით, ჩვენი საუკუნის ბოლომდე უკვე იმუშავებს კომერციული თერმობირთვული რეაქტორი. თუ როდის გადაწყდება ეს პრობლემა, ამაზე მეტად გონებამახვილურად უპასუხა აკადემიკოსმა ლ. არციმოვიჩმა: „სამართავი თერმობირთვული სინთეზის პრობლემა, აუცილებლად გადაწყდება, როგორც კი კაცობრიობას გაუჩნდება მისი რეალური მოთხოვნილება“.

დასასრულს მინდა აღვნიშნო, რომ საბჭოთა კავშირის სამეცნიერო თერმობირთვული რეაქტორის — ტოკამაკის შექმნის შესახებ საყოველთაო აღიარება მოიპოვა.

სურათზე: ტოკამაკი PLT.

თანამშრომლობის ინტერესებისათვის

ორლანდო (ფლორიდის შტატი). მსოფლიო ეკონომიკური თანამშრომლობისა და საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების პრობლემებს მიეძღვნა საერთაშორისო სავაჭრო პალატის 26-ე კონგრესი, რომელიც აქ გაიხსნა. საქმიანი წრეების წარმომადგენელთა ეს უზარმაზარ ფორუმი აერთიანებს თითქმის ასი ქვეყნის სავაჭრო პალატებს. კონგრესში მონაწილეობენ საბჭოთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ა. ბორისოვი, აგრეთვე სხვა სოციალისტური ქვეყნების დელეგაციები.

კონგრესის დღის წესრიგში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აღმოსავლეთისა და დასავლეთის სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების საკითხებს, რომლებიც პირველად იქნა გამოტანილი პლენარულ სხდომაზე.

კონგრესის გახსნისას, საერთაშორისო სავაჭრო პალატის პრეზიდენტმა ი. მაკგრეგორმა აღნიშნა, რომ ვაჭრობა საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებისა და დაძაბულობის შენელების პროცესის განმტკიცების მნიშვნელოვანი საშუალებაა.

კონგრესის მონაწილეებისა დ მიმართვაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმ კ. ვალდჰაიმმა აღნიშნა, რომ ხელსაყრელი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარება შეუსაბამება ყველა ქვეყნის საუკეთესო ინტერესებს, ხელს უწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებასა და ხალხთა შორის ნდობის განმტკიცებას.

სოციალისტური ქვეყნების სავაჭრო პალატებთან საერთაშორისო სავაჭრო პალატის ურთიერთობას კომიტეტის მოხსენებაში, რომელიც კონგრესის დელეგატთა შორის გავრცელდა, ხაზგასმულია, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის სახელმწიფოებს შორის იზრდება საქმიანი თანამშრომლობის განვითარების აქტუალობა თანასწორუფლებიანობის, ურთიერთსარგებლობის, უპირატესი ხელმეწყობის პრინციპის საფუძველზე.

მოხსენებაში „აღმოსავლეთისა და დასავლეთის შორის ვაჭრობის პერსპექტივები“, რომელიც მოამზადა გერმანიის სავაჭრო-სამრეწველო გაერთიანების (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) პრეზიდენტმა ო. ვ. ფონ ამერონგენმა, აგრეთვე აღნიშნულია, რომ იზრდება საერთაშორისო ეკონომიკური და სავაჭრო კონტაქტების მნიშვნელობა.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის საქმიან ურთიერთობას, ნათქვამია ამ დოკუმენტში, სტაბილური ხასიათი ენიჭება და კვლავ აქტიურად ვითარდება, ამასთან შეესაბამება მთლიანად მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ინტერესებს.

საერთაშორისო სავაჭრო პალატის კონგრესი 6 ოქტომბრამდე გასტანს.

ლიტერატურა და ხელოვნება

საბჭოთა ამიერკავკასიის მელოდიები

თბილისში იხსნება ხელოვნების IV ფესტივალი

დღეს თბილისში იხსნება ხელოვნების IV ფესტივალი „საბჭოთა ამიერკავკასიის მელოდიები“. ამასთან დაკავშირებით „კომუნისტის“ კორესპონდენტს ესაუბრება საქართველოს სხრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ნ. გურაბანიძე.

— ეს ფესტივალი ყოველწლიურად იმართება საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის დედაქალაქებში. ამჯერად ჩვენი რიგია. 13 ოქტომბრამდე თბილისელ მუსიკის მოყვარულთ საშუალება ექნებათ მოუსმინონ სამი რესპუბლიკის საუკეთესო მუსიკოს-შემსრულებლებს, ბევრ შესანიშნავ მუსიკალურ ნაწარმოებებს. ახლანდელი ფესტივალის დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ მოხდება დიდი მუსიკალური კოლექტივების შერწყმა. მაგალითად, ქერუბინის „რეკვიემს“ შეასრულებს სომხეთის საგუნდო საზოგადოების გუნდი და საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი. ფესტივალის პროგრამაში მონაწილეობენ მუსიკალური თეატრებიც. ოპერა „დაისში“ მოუსმენთ აზერბაიჯანელ და სომეხ ხალხურ მომღერლებს. გაიზარდა ფესტივალის გეოგრაფიაც. განზრახულია ფართო მასშტაბის კონცერტები ჩავატაროთ ბოლნისსა და თელავში. ფესტივალის სიახლეა ისიც, რომ მასში მონაწილეობას მიიღებენ სამივე რესპუბლიკების მუსიკალური სკოლებისა და ქორეოგრაფიული სასწავლებლების მოსწავლეები.

ფესტივალის მონაწილე ხუთასამ კაციდან გვესტუმრებიან ახლანდელ, რომელთა ახალი ნაწარმოებები პირველად ამ მუსიკალურ ზეიმზე უნდა შესრულდეს. ველოდებით ცნობილ მუსიკოს-შემსრულებლებს, დირიჟორებს, აგრეთვე ჩვენს მაყვალა ქახრაშვილსა და ზურაბ სოტკილავას, რომლებმაც ფესტივალში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს.

13 ოქტომბერს ჩატარდება დასკვნითი საღამო სამივე რესპუბლიკის მუსიკოს-შემსრულებელთა მონაწილეობით.

ტრადიციული ფესტივალი განა მარტო ამიერკავკასიის სამი მოძმე რესპუბლიკის ერთობას ადასტურებს, იგი ნათლად დაგვანახვებს, თუ რა დონეზეა დღესდღეობით ამ რესპუბლიკებში ხალხური თუ კლასიკური მუსიკა, ვოკალური და საბალეტო ხელოვნება.

ლიტველი მწერლები სტუმრად ქართველ კოლეგებთან

ძმობის გზებით

ქართველ მწერალთა სტუმრია ლიტველ თანამოკალმეთა ერთი ჯგუფი, ლიტვის მწერალთა კავშირის მდივნის, კრიტიკოსი პეტრას ბრაკენასის მეთაურობით.

ამ გაზაფხულს ქართველი მწერლები სტუმრად იყვნენ ლიტვაში. ეს კი ლიტველი მეგობრების საპასუხო ვიზიტია. მაშინ ახალგაზრდული ჟურნალის „ნიამუნასის“ კოლექტივთან შეხვედრისას ფართო სკა-ბაასი გაიმართა თანამედროვე ლიტერატურის განვითარებისა და ახალგაზრდა მწერალთა მხატვრული დოსტატების პრობლემებზე.

ეს სკა-ბაასი ამჯერად საქართველოში გაგრძელდა. ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციაში მოეწყო ლიტველ და ქართველ მწერალთა შეხვედრა.

შეხვედრა გახსნა ლ. ძვირფას კოლეგებს მიესალმა ჟურნალ „ცისკრის“ მთავარი რედაქტორი მწერალი გ. ფანჯიკიძე. სტუმრებს მიესალმნენ აგრეთვე საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გრ. ABაშიძე, მწერალთა კავშირის მდივანი ჯ. ჩარკვიანი, თანამედროვე ლიტერატური მწერლობის ძირითადი მიმართულებების შესახებ ისაუბრა კრიტიკოსმა გ. ასათიანმა, სპასუხო სიტყვა წარმოთქვა პოეტმა კრიტიკოსმა ალგიმანტას ბურჩასმა.

ვზიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა გ. დოჩანაშვილმა, ჭ. ამირეჯიბმა, კრიტიკოსებმა გ. გვერდწითელმა, კ. ობედაშვილმა, საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სექციათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარემ ო. ნოდიამ, კრიტიკოსმა ი. სპრინდიტმა.

მ. აიდარაშვილი.

სურათზე: ლიტველ და ქართველ მწერალთა ჯგუფი ეურნალ „ცისკრის“ რედაქციაში (მარცხნიდან): ი. აპუტისი, პ. ბარაუნასი, ბ. ზალეხკაია, მ. ბაუბლენე, ი. შტოკმანი, ჯ. ჩარკვიანი, რ. კეტურაკისი, ლ. იაცინიავიჩუსი, ი. სპრინდიტე, ვ. მარტინკუსი, გ. ასათიანი, გ. ფანჯიკიძე, ა. ბუჩისი.

ალგიმანტას ბალტაკისი

მოწოდება

თუ ჩავიმუხლე ხნულში ხარივით
და ბელტს ჩავკიდე ორივე ხელი,
არ მოგეჩვენოთ, გემუდარებით,
მომბეზრდა თითქოს ხელობა მხვნელის.

მე ავირჩიე ეს მიწა თვითონ.
ნიადაგს მწარს და მოფენილს ქვებით,
თავზე ვეკვლები, მიყვარს და ვიტან,
როგორც ჩემამდე იტანდნენ სხვები.

და, აი, ვდგავარ, ვიმშრალებ კისერს,
ხულმი ვიატებს ამედი ხვალის,
დღე უფრულად გავიდა ისე,
რომ ვერ გავავლე ბოლომდე კვალიც.

მე კარგად ვიცი, რომ ჩემს ადგილას
ზოგიერთები იტყოდნენ უარს,
ხელს ჩაიქნევდნენ... მე არ ვთაკილობ,
არც ვესესხები არავის ჭკუას.

ბევრს ეცოტავოს იქნება ჩემი
საასპარეზო და გასაქანიც,
ოღონდ — წინაპრის სისხლით და ცრემლით
მორწყული — ჩემი ძირი აქ არის.

სადაც მეჯიხა ხული კბილებით —
როგორ გავძელი, არ იცის კაცმა...
არც სიბარული, არც ტკივილები
არ დამკლებია, — ესა ვარ, რაც ვარ.

აქ ამოხული მე მიყვარს ოღლოც,
სხვისთვის მწარია, ჩემთვის — ედემი
მიწა, რომელსაც ართმობენ მხოლოდ
გუთნისდედები და პოეტები.

ლექსები თარგმნა **ხუტა გაგუამ.**

ედუარდას მეჟელაიტისი

უძლეველი

მძიმედ დაჭრილი ჩემი მეგობარი, რომელმაც შვიდი დღედამე დაკაკო არავის მიწაზე, თავის სანბარს დაუბრუნდა.

მიწას ემხობი მკერდით,
ეონავს ბრილობა ღია...
ყურთან ზუზუნებს კენტი
ფუტკარი, როგორც ტყვია.

გზა არავისი მოჩანს,
გზაზე გვამები ყრია...
ტყვიას გაგონებს ხოჭოც,
ბიამარიაც — ტყვიას.

ტყვია. ტყვიები.. ტყვია.
დრო კი, დრო გადის ზანტად.
შენ ჯარისკაცი ბქვია —
ან უნდა მოკვდე, ანდა...

ზეცა ლურჯია ისე,
გინდა შეახო ხელი.
ფრთხილად იგრძელებ კიბერს —
სადღაც ტოროლა მღერის...

ადიდებულა ღელე —
სისხლი იღვრება ცხელი,
და შენს უღონო ხელებს
მკერდში ჩაუკრავთ ველი...

ირგვლივ ხუნი დგას დენთის
და იწერება მკაცრი
განაჩენი და ბედი
მარტოდ მიგდებულ კაცის...

ერთხელაც იკრებ ძალას —
სიკვდილს მოასწრებ მერეც...
ლოყით ეხები ბალახს,
ესაუბრები მწერებს...

ესმით თუ არა შენი,
შენთვის სულ ერთი არის:
ეგ საუბარი გშველის —
გრძნობ, რომ არა ხარ მკვდარი.

თავი, ლოდივით მძიმე,
მიწას სცილდება ნელა...
ებღაუჭები იმედს —
იმედი ცოცხლობს ყველა.

შვიდი დღეა და ღამე,
გადარჩენისთვის იბრძვი —
გამარჯვებისთვის იბრძვი,
შვიდი დღეა და ღამე.

...მავთულის ეკლებს შორის
სულს ღაფავს შებოჭილი —
სანგრის ღიღილო ორი:
შეუვარებული წყვილი...

ლიტერატურული ფურცელი

ეთაბეჭდილებებით ედიდარი

ჩვენი დედაქალაქის მუსიკის მოყვარულთათვის წლევანდელი შემოდგომა მეტად საინტერესო და შთაბეჭდილებებით ბარაქიანი გამოდგა. კვლავ აღლერდა სიმფონიური და კამერული მუსიკა, ხოლო მუსიკალურმა თეატრებმა უკვე ნაცნობ რეპერტუართან ერთად თვისი ახალი სპექტაკლებიც გვიჩვენეს. შშობლიურ ქალაქს კვლავ ესტუმრა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი პიანისტი ქალი ე. ლეონსკაია, რომლის მიერ შესრულებული ბეთჰოვენის, ბრამსისა და შოსტაკოვიჩის ნაწარმოებები შთამბეჭდაობთია და მუსიკალური გაზრების ლოგიკურობით გამოირჩეოდა.

სხვა კონცერტებსა და საღამოებს შორის გამოვყოფთ საღამოს, რომელიც დავით ოისტრახის ხსოვნას მიეძღვნა. თბილისელებს ბრალი შეხვედრა აკავშირებდა ამ დიდ ხელოვანთან, მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მეგიოლინესთან, რომლის ყოველი კონცერტი ჩვენს ქალაქში მნიშვნელოვანი მუსიკალური მოვლენა გახდა. დ. ოისტრახის დაბადების 70-ე წლისთავთან დაკავშირებით გამართული ახლანდელი კონცერტის პროგრამაში შეტანილი იყო მოცარტის, ბეთჰოვენისა და ჩაიკოვსკის ნაწარმოებები, რომლებიც შეასრულეს საერთაშორისო კონკურსების ლაურეატებმა, ი. ოისტრახმა, (ვიოლინო) ეგ. აღტმანმა (ჩელო), ნ. ზერცალოვამ (ფორტეპიანო) და ოისტრახების ოჯახის ყველაზე ახალგაზრდა წარმომადგენელმა მეგიოლინემ ვ. ოისტრახმა.

საინტერესო კონცერტი გამართა კონსერვატორიის დარბაზში აგრეთვე მეგიოლინემ ო. კრისამ — საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა, ჩინებულმა შემსრულებელმა. მუსიკალურმა სექტემბერმა არც საესტრადო ხელოვნებისა და ჯაზის მოყვარულებს დასწყვიტა გული. რამდენიმე საინტერესო კონცერტი გამართა ჯაზ-როკ ანსამბლმა „არსენალმა“, ჯაზ-ფესტივალების ლაურეატის ა. კოზლოვის ხელმძღვანელობით.

ქვლავ განაგრძობდა თავის გამოსვლებს ღია ცის ქვეშ, მეტეხის პლატოზე, ჩვენი პოპულარული საესტრადო კოლექტივი „ორერა“, რომლის ახალ პროგრამას „თბილისურ საღამოებს“ უკვე სამი თვის განმავლობაში საამოვნებით ისმენდა ათასობით მაყურებელი. თავისთავად მისასალმებელია „ორერას“ სწრაფვა აუდიტორიასთან კონტაქტის დამყარების ახალი ფორმების ძიებისადმი. მართლაც და დიდებული მეტეხის ტაძრის ფონი, ღამის წყვდიადში გაკაშკაშებული ნარიყალას ციხის ნანგრევები, შედეგიერად მობუტბუტე მტკვარი და სხვა ამგვარი ნიუანსები შესანიშნავ ელფერს აძლევდა კონცერტის სანახაობის მხარეს და სიმღერების მოსმენისას განსაკუთრებულ განწყობილებას ქმნიდა.

დიდი ფანტაზია და გემოვნება ჩაქსოვეს ამ დადგმაში რეჟისორმა ს. მრევლიშვილმა და მხატვარმა მ. ჭავჭავაძემ, ხოლო რაც შეეხება თვით „ორერას“ ხელოვნებას, მისი სოლისტების ნ. ბერეგოვაძის, ვ. კიკაბიძის, გ. ნადირაშვილის, ზ. იაშვილის, თ. დავითაიას, თ. მელგინეთუხუცესისა და სხვათა ოსტატობაზე არაერთხელ დაწერილა კიდეც. მუსიკალური შემოდგომა კიდევაც ბევრ საინტერესო შეხვედრებს გვპირდება.

ხ. ცინცაძე,
მუსიკისმცოდნე.

• • •

სურათებზე: ზემოთ — ანსამბლი „ორერას“ სოლისტები: რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნ. ბერეგოვაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ვ. კიკაბიძე (ანსამბლის ხელმძღვანელი) და თ. დავითაია. ქვემოთ — დ. ოისტრახის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონცერტის მონაწილენი (მარცხნიდან): ი. ოისტრახი, ვ. ოისტრახი, ნ. ზერცალოვა და ეგ. აღტმანი.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დედაქალაქის საკონცერტო დარბაზებში

ეთაბეჭდილებებით ედიდარი

ჩვენი დედაქალაქის მუსიკის მოყვარულთათვის წლევანდელი შემოდგომა მეტად საინტერესო და შთაბეჭდილებებით ბარაქიანი გამოდგა. კვლავ აღლერდა სიმფონიური და კამერული მუსიკა, ხოლო მუსიკალურმა თეატრებმა უკვე ნაცნობ რეპერტუართან ერთად თვისი ახალი სპექტაკლებიც გვიჩვენეს. შშობლიურ ქალაქს კვლავ ესტუმრა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი პიანისტი ქალი ე. ლეონსკაია, რომლის მიერ შესრულებული ბეთჰოვენის, ბრამსისა და შოსტაკოვიჩის ნაწარმოებები შთამბეჭდაობთია და მუსიკალური გაზრების ლოგიკურობით გამოირჩეოდა.

სხვა კონცერტებსა და საღამოებს შორის გამოვყოფთ საღამოს, რომელიც დავით ოისტრახის ხსოვნას მიეძღვნა. თბილისელებს ბრალი შეხვედრა აკავშირებდა ამ დიდ ხელოვანთან, მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მეგიოლინესთან, რომლის ყოველი კონცერტი ჩვენს ქალაქში მნიშვნელოვანი მუსიკალური მოვლენა გახდა. დ. ოისტრახის დაბადების 70-ე წლისთავთან დაკავშირებით გამართული ახლანდელი კონცერტის პროგრამაში შეტანილი იყო მოცარტის, ბეთჰოვენისა და ჩაიკოვსკის ნაწარმოებები, რომლებიც შეასრულეს საერთაშორისო კონკურსების ლაურეატებმა, ი. ოისტრახმა, (ვიოლინო) ეგ. აღტმანმა (ჩელო), ნ. ზერცალოვამ (ფორტეპიანო) და ოისტრახების ოჯახის ყველაზე ახალგაზრდა წარმომადგენელმა მეგიოლინემ ვ. ოისტრახმა.

საინტერესო კონცერტი გამართა კონსერვატორიის დარბაზში აგრეთვე მეგიოლინემ ო. კრისამ — საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა, ჩინებულმა შემსრულებელმა. მუსიკალურმა სექტემბერმა არც საესტრადო ხელოვნებისა და ჯაზის მოყვარულებს დასწყვიტა გული. რამდენიმე საინტერესო კონცერტი გამართა ჯაზ-როკ ანსამბლმა „არსენალმა“, ჯაზ-ფესტივალების ლაურეატის ა. კოზლოვის ხელმძღვანელობით.

ქვლავ განაგრძობდა თავის გამოსვლებს ღია ცის ქვეშ, მეტეხის პლატოზე, ჩვენი პოპულარული საესტრადო კოლექტივი „ორერა“, რომლის ახალ პროგრამას „თბილისურ საღამოებს“ უკვე სამი თვის განმავლობაში საამოვნებით ისმენდა ათასობით მაყურებელი. თავისთავად მისასალმებელია „ორერას“ სწრაფვა აუდიტორიასთან კონტაქტის დამყარების ახალი ფორმების ძიებისადმი. მართლაც და დიდებული მეტეხის ტაძრის ფონი, ღამის წყვდიადში გაკაშკაშებული ნარიყალას ციხის ნანგრევები, შედეგიერად მობუტბუტე მტკვარი და სხვა ამგვარი ნიუანსები შესანიშნავ ელფერს აძლევდა კონცერტის სანახაობის მხარეს და სიმღერების მოსმენისას განსაკუთრებულ განწყობილებას ქმნიდა.

დიდი ფანტაზია და გემოვნება ჩაქსოვეს ამ დადგმაში რეჟისორმა ს. მრევლიშვილმა და მხატვარმა მ. ჭავჭავაძემ, ხოლო რაც შეეხება თვით „ორერას“ ხელოვნებას, მისი სოლისტების ნ. ბერეგოვაძის, ვ. კიკაბიძის, გ. ნადირაშვილის, ზ. იაშვილის, თ. დავითაიას, თ. მელგინეთუხუცესისა და სხვათა ოსტატობაზე არაერთხელ დაწერილა კიდეც. მუსიკალური შემოდგომა კიდევაც ბევრ საინტერესო შეხვედრებს გვპირდება.

ხ. ცინცაძე,
მუსიკისმცოდნე.

სურათებზე: ზემოთ — ანსამბლი „ორერას“ სოლისტები: რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნ. ბერეგოვაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ვ. კიკაბიძე (ანსამბლის ხელმძღვანელი) და თ. დავითაია. ქვემოთ — დ. ოისტრახის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონცერტის მონაწილენი (მარცხნიდან): ი. ოისტრახი, ვ. ოისტრახი, ნ. ზერცალოვა და ეგ. აღტმანი.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ფუთითაც არ ნელდება შემოქმედებითი შრომის რიტმი ტყიბულის ქვანახშირის შახტებში. რა დრო და ამინდიც უნდა იყოს, მეშახტე ტოვებს ოჯახს, მზის სინათლეს და მიწისქვეშა ბილიკებით მიეშურება სანგრევებში, რათა ადამიანებს მოუტანოს სიმბო, ენერგია და სინათლე. ყოველ ექვს საათში მუშები ჯგუფ-ჯგუფად ეშვებიან ღრმა სამთო ჰორიზონტში და ვაკუკიურად, ენერგიის მთელი დაძაბვით ერკინებიან საუკუნოვან ქანებს.

ცხადია, ასეთ მამაც ადამიანებს ყოველმხრივი, განსაკუთრებული მზრუნველობა და უურადღება სჭირდებათ. მაღაროელის შრომას თავისი სირთულითა, და რომანტიზმით ძნელად მოეძებნება ბადალი დედამიწის ზურგზე. როგორ მოსახურებას ვუწევთ მათ, ყოველთვის საკმაოდ ვზრუნავთ თუ არა მეშახტის კვებაზე და სავაჭრო მომსახურებაზე? აი საკითხები. რომლებსაც რეიდის დროს ვაქცევდით უურადღებას.

რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის ფლაგმანი — ლენინის სახელობის შახტი... ჩვენ მუშათა სასადილოში (გამგე — ე. სოხაძე) ვართ. აქ დღეღამეში 600-ზე მეტი კაცი სადილობს. თვალს სიამოვნებს ახლადგებული, თანამედროვე ტიპის შენობა. სასადილო დარბაზში და სამზარეულოში იდეალური სისუფთავეა. ნორმალურად მუშაობს თვითმომსახურების ხაზი. კონვეიერზე ერთმეორის მიყოლებით მისრიალებენ თუნუქის ლერძიანი ლანგრები. დანერგილია ფასების შემდგომი ვადახდის პროგრესული მეთოდი. ერთი სიტყვით, სადილის ვაცემის ორგანიზაციით კმაყოფილი დავრჩით. მაგრამ ჩვენი სასიამოვნო განწყობილება ლერძების შენიუს გაცნობამ და მუშებთან გამოსაუბრებამ შეცვალა.

წლეულს მარტში, როგორც გვითხრეს, აქ დაინერგა დიდმნიშვნელოვანი სიახლე — მეშახტეთა მიწისქვეშა კვება. მუშების დიდი უმრავლესობა იძენდა და სანგრევში სპეციალური თერმოსით მიჰქონდა უძვლო ხორცისაგან დამზადებული გემრიელი ლერძები. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ სიახლემ სულ ორი-სამი თვე იარსება და სასადილოს მესვეურების დაუდევრობით ჩაიშალა. სასადილოს გამგე ე. სოხაძე თავს იმართლებს და ცდილობს ყველაფერი გადაბრალოს მაღალხარისხოვანი, უძვლო ხორცით მომარაგებაში შეფერხებას. ამაში იგი ნაწილობრივ სწორია, მაგრამ რეიდის მონაწილეთა აზრით ყოველთვის მართალი როდი ხარ? საკითხავია, საქონლის ხორცით ერთნაირი მომარაგების პირობებში როგორ არომეევენ თავს ამ საქმეს ტყიბულის დანარჩენი შახტების სასადილოების მუშაკები?

ვეწვიეთ ამავე სასადილოს ფილიალს — № 1 სასუუზმეს, რომელიც შახტის მისასვლელთან შენობის მეორე სართულზეა. პირდაპირ შეგვაშფოთა აქ გამეფებულმა უწესრიგობამ და ბინტისანტარიამ. სასაუზმის კარი დაკეტილი იყო. ამიტომ შემოველით შევაღწიეთ შენობაში. გვაოცა შეზარხოშებული კლიენტების სიმრავლემ. აქ ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვა აკრძალულია, მაგრამ ეს, ეტყობა, ხელს არ უშლის ბახუსის მოყვარულთ. მებუფეტე თ. ჯიმშელეიშვილი, რომელსაც პირველ რიგში ევალება წესრიგის დაცვა და მოქალაქეთა კულტურული სავაჭრო მომსახურება, სიმთვრალისაგან ფეხზე ძლივს იდგა.

არც შახტის ტერიტორიაზე მდებარე სასურსათო მაღაზია (გამგე — ნ. ბოჭორიშვილი) გამოიყურება რიგიანად, მართალია, იგი ამჯერად სურსათ-სანოვაგის ნაკლებობას არ განიცდიდა, მაგრამ სავაჭრო მომსახურება მეტად დაბალ დონეზე იდგა. პირველ ყოვლისა, მაღაზიას კაპიტალური რემონტი სჭირდება. იატაკი ალაგ-ალაგ დაზიანებულია, კედლები გაჭუჭყიანებული, დგამ-ავჯი ამორტიზირებული. მაღაზიას არც სასაწყობო მეურნეობა უვარგა, იგი შეუფერებელია პროდუქტების შესანახად. ყოველივე ამას ემატება მაღაზიის მომსახურე პერსონალის დაუდევარი, უნიათო მუშაობა. საწყობის ერთ განყოფილებაში, სასურსათო პროდუქტების გვერდით მიწისქვეშა სანგრევში წასაღებად გამზადებული, ტალახში ამოსვრილი ხის 12 ბიგი ეყარა.

მომხმარებელთა გუნებაგანწყობილებას აფუჩეებს მაღაზიის შესასვლელთან დაყრილი ყუთები, ლიმონათის ცარიელი ბოთლები და ქილები...

ცუდად როდი ემახურება მეშახტეებს მეორე დიდი სამთო საწარმოს — სტალინის სახელობის შახტის მუშათა სასადილო (გამგე — ბ. დოხნაძე) მისი მომსახურე პერსონალი გულმოდგინედ ცდილობს მუშებისათვის რაც შეიძლება გემრიელი, მაღალხარისხოვანი და მრავალფეროვანი კერძები დაამზადოს, თუმცა, გამართულ მუშაობას აქაც ბევრი რამ უშლის ხელს. სასადილო რეგულარულად როდი მარაგდება საჭირო პროდუქტებით. თევზის დღეს, რომელიც კვირაში ერთხელ არის შემოღებული, ხეკის შეტს ვერაფერს შეხვდებით. მეშახტეები სამართლიანად საყვედურობენ, რა მოხდა, ნუთუ სხვა ჯიშის თევზები გადაშენდნენო?

შახტის ადმინისტრაციამ ამ ერთი თვის წინათ დაიწყო სასადილოს რემონტი. მშენებელთა ბრიგადამ შეაკეთა სახურავი და გაუჩინარდა.

სასადილოს შახტის ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო კომბინატს შენობაში გახსნილი აქვს ბუფეტი. შემოწმებამ ცხადყო, რომ აქ ყველაფერი რიგზე ვერ არის. სათანადო წესების დაცვით არ რეცხენ ფაიფურისა და მინის ჭურჭელსა და დანა-სუფრებს. ეს ბოლო ორი-სამი დღეა ბუფეტი ბინდზე ადგია. ეტყობა, არც ქალაქის სანეპიდსადგურის სამსახური დგას მოწოდების სიმაღლეზე, თორემ ასეთი დარღვევები არ მოიმეორებენ.

დავინტერესდით ორჯონიკიძის სახელობის შახტის საზოგადოებრივი კვების ქსელის მუშაობით. სადილობის დრო იყო და ჩვენც სასადილოს მივაშურეთ. მოვიკითხეთ სასადილოს გამგე. მე გახლავართო, გვაპასუხა ის ახალგაზრდამ, მოლარის მოვალეობას რომ ასრულებდა.

— მზარეული ვინ არის? — მივეკითხეთ მეორე მეკითხვა.

— მზარეულიც მე ვარ! — გვაპასუხა გამგემ.

— სამ საგარეულში ზიხართ? — გავეხუმრეთ.

— სწორედ ასეა. მე გამგეც ვარ, მზარეულიც და მოლარე-კონტროლიორიც, — მოგვიგო ო. გოლოძემ.

თურმე ნუ იტყვით, სასადილოს არ ყოფნის მზარეულები. 6-ის ნაცვლად სამი ჰყავთ. ამატომ დაღლილ მზარეულებს ხმირად გამგე ენაცვლება. იმ დღეს კი მას მოლარე-კონტროლიორის შეცვლაც მოუხდა. ცხადია, ადამიანის ასე გადატვირთვა მოქმედებს მუშაობის ხარისხზე, კულტურულ მომსახურებაზე, მაგრამ მუშათა მომარაგების განყოფილების საზოგადოებრივი კვების ქსელის ხელმძღვანელებს ეს არ ადარდებთ.

მზარეულის ძნელ და საპასუხისმგებლო საქმიანობას კიდევ უფრო აძნელებს უხარისხო პროდუქტი. სასადილოს გამგემ გვიჩვენა უვარგისი, სანახევროდ დამპალი და წვრილი კარტოფილი, რომლის დამუშავება და მისგან კერძების მომზადება ერთობ სანძელო საქმეა. საერთოდ, აქ, ისევე როგორც ქალაქის სხვა მუშათა სასადილოებს, ყოველთვის როდი ამარაგებენ მაღალხარისხოვანი პროდუქტებით, განსაკუთრებით ბაზჩეულით.

ამ ნაკლის გამოსასწორებლად შახტის ადმინისტრაციამ წელს ერთგვარი პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა. საუკუნოვან წამლნარში შექმნა მეღორეობის დამხმარე მეურნეობა. აქ ამჟამად 56 ნეზვი, 3 კერატი და 100 გოჭია. ეს მომავალში მნიშვნელოვნად გაიაიფებს კერძებს, ამაღლებს მის ხარისხს. კარგი იქნება, თუ ორჯონიკიძელთა მაგალითს მიბაძავენ მათი მეზობელი ლენინის სახელობის შახტის კოლექტივი და ქალაქის სხვა სამთო საწარმოები.

რეიდმა ცხადყო, რომ არც

რეიდის მონაწილეები: ჯ. ქათამაძე — ლენინის სახელობის შახტის სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის თავმჯდომარე; თ. ბაბრიაძე — სტალინის სახელობის შახტის საშახტო კომიტეტის წევრი, ა. ციბაკიძე — ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის სახალხო კონტროლიორი, ვ. ციბაკიძე — „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

ოპერაციის ეროვნული გაუკეთეს

ბიბლიოთეკა. (საკ. კორ.). ოქტომბერი, „ბრიგადის“ ბრიგადიერმა, კორესპონდენტი ა. კოლესნიკი). ალგილობრივი ზოოპარკის დღეგრძელი დედალი სპილო მერე ავად გახდა. სასწრაფო ქირურგიული ოპერაცია იყო საჭირო. მაგრამ როგორ უნდა გაეკეთებინა ოპერაცია ცხოველს, რომელიც თითქმის სამ ტონას იწონის? ზოოპარკის მუშაკები ახსნა უკრაინის ელის რაიონების მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „ასკანიანოვას“ თანამშრომელმა ნ. ლობანოვმა. პნევმატიკური პისტოლეტის გასროლა — და დასაძინებელი სიფხიერ სავსე შპრიცი ჩიესო უზვეულო პაციენტის სხეულში. მალე სპილო ღრმა ძილს მიეცა.

— ოპერაცია დიდხანს არ გაგრძელებულა, — გვეამბობს ნიკოლაევის ზოოპარკის დირექტორის მოადგილე ა. გამბოლი.— ეს ოპერაცია წარმატებით გაკეთეს ქალაქის ვეტერინარულ სადგურის ექიმებმა. ნახევარი საათის შემდეგ მერი ფეხზე დადგა და ჭამას შეუდგა. ნარკოზულ ძილს, რომელიც ერთ საათსა და ოთხ წუთს გაგრძელდა, არაკითარი ცუდი შედეგი არ მოჰყოლია. ამგვარი ოპერაციები ჩვენს ქვეყანაში პირველად გაკეთდა.

გუნებას დაუბრუნდა

ზესტაფონი. (საკ. კორ.). შინდის საკრეფად მთის მისადგომებზე წასულ ტაბაკინელ თინა კელენჯერიძეს აქომინებულა შვილის ნუკრი შემოეფეთა და იქვე, მის წინ ჩაიკეცა. მოსალოდნელი საშიშროებით ნარბენ პატარა, უმწეო ცხოველს განძრეულს თავი აღარ ჰქონდა, ადამიანისაგან ელოდა შველას.

ნუკრი ატატებული ჩამოიყვანა, თინამ სოფელში. დასვენა, გამოკვება და შემდეგ რაიონის მონადირეთა კავშირს ჩაბარა. მთის მშვენება მოღონიერდა და ისევ თავის საყვარელ ბუნებას დაუბრუნდა.

რედაქტორი
დ. მჟელიშვილი.

ფეხბურთი

5 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 18.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსულელთათვის — ფიზიკა (ფერადი), 18.30 — განცხადებები, 18.35 — უმცროსკლასელთათვის „ჩვენ ვსწავლობთ რუსულ ენას“, 19.05 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ჩემი სოფელი“ (ფერადი), 19.15 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“ (მოსკოვიდან), 19.45 — „მოვლენები, პრობლემები, პერსპექტივები“, 20.15 — „გლობუსი“ (ფერადი), 21.00 — „მომბრ“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — „ახალგაზრდების ხელოვნება“, მღერის პაატა ბურკულაძე (ფერადი), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — რუსთაველის თეატრი ბელგრადის „ბიტეფ-12“ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე.

მეორე პროგრამით

18.05 — მოსწავლეთათვის ქართული ენა (ფერადი), 18.35 — განცხადებები, 18.40 — მოსწავლეებლის საათი. ფიზიკა (ფერადი), 19.45 — მხატვრული ფილმი „პარტკომის მდივანი“ მეორე სერია (ფერადი).

თეატრი

5 ოქტომბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **დაისი** (ფარიდა ალიხანოვისა და ზურაბ ანჯაფარიძის მონაწილეობით); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **პეკო**; მცირე დარბაზი — **ჩემო ალამო**; ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **ჯარში მიდის დედისერთა**; მეტეხის თეატრი — **უგედურება-ურემი**; კონსტანტინეს „ქართული ფილმის“ — თეატრალური სახელოსნო — **ამრეს აჯანუნებენ.**

მეშენებლობის სამინისტრო, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური კომიტეტი, საწარმოო გაერთიანება „თბილქალაქმშენი“. ტრესტი № 14 იუწყებიან, რომ გარდაცვალა ტრესტის № 3 სამშენებლო სამმართველოს უფროსი

ჯემალ დავითის ძე თევდორაძე

და ხამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ფეხბურთი

5 ტურიც და...

„დინამო“ თუ ცსკა? აი კითხვა, რომლის პასუხს ეტყობა მხოლოდ ჩემპიონატის ბოლოს მივიღებთ. უმაღლესი ლიგის დუბლიორთა გუნდების გათამაშების ცხრილის სათავეში მონაცვლეობით სწორედ თბილისის „დინამო“ და ცსკა დგანან. და ამ ორი კოლექტივიდან ვინ დაეუფლება საკავშირო ჩემპიონატის მცირე ოქროს მედლებს, გადაწყვეტილთ თქმა ჯერ ძნელია.

ჩემპიონატის დამთავრებამდე ხუთი ტურით ადრე დუბლიორთა ხატურნირო მდგომარეობა ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ თბ.	25	16	4	5	37-14	36
ცსკა	25	13	9	3	37-22	35
„შახტიორი“	25	12	6	7	31-19	30
„დინამო“ მ.	25	11	8	6	31-19	30
„დინამო“ კ.	25	12	5	8	28-24	29
„არარატი“	25	9	10	6	33-23	28
„ნეფთჩი“	24	11	6	7	30-26	28
„ჩერნომორ.“	25	10	6	9	24-30	26
„სპარტაკი“	25	10	5	10	38-24	25
„ტორპედო“	25	10	4	11	36-32	24
„პახტაკორი“	24	7	8	9	26-29	22
„კირატი“	25	7	7	11	28-34	21
„ლოკომოტ.“	25	6	6	13	23-39	18
„